ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## სოსო ცინცაძე: „მამუკა ხაზარაძე იბრძოლებს, მაგრამ ბარიკადებზე არ ავა“



გვ. 3

15 თებერვლიდან
მსოფლიო ლიტერატურის
გუსტავ ფლობერი
მადამ ბოვარი
ფასი გაზეთთან ერთად



შაბათი – კვირა, 16 – 17 თებერვალი, 2019 №39 (7894) ფასი: 60 თეთრი

# „ივანიშვილმა ხაზარაძეს რამდენჯერმე მოსთხოვა, ხელი აეღო ანაკლიის პორტზე“



გვ. 2

„ოცნების“ ლიდერი იმ დონეზე დავიდა, რომ უკვე იმას არჩევს, ვინ უნდა შემოიტანოს საქართველოში კვერცხი“





გვ.4

## პაატა შეშელიძე: „ხაზარაძე სასათბურე პირობებში მუშაობდა, ივანიშვილმა პირადი მოტივებით იმოქმედა“

ეროვნული ბანკი საერთოდ არ არის საჭირო

## ანზორ აბრალავა: „ვანო ზარდიაშვილს დედა, 11 წელია, არ უნახავს“



გვ.3

„არ მესმის, რატომ აბამენ ჩემს შვილთან დაკავშირებულ ინციდენტს ვანო ზარდიაშვილს“

## ემზარ კვიციანი: „საქართველო დემოგრაფიული კატასტროფისგან უნდა ვიხსნათ“

გვ.4



## ზურაბ გურული: „კვალიფიციური ექიმების დეფიციტი მთელ მსოფლიოშია“

გვ.6

„სოკოებივით იხსნება ახალ-ახალი კლინიკები, რომლებიც საეჭვო რეპუტაციის თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული“





ჯემალ გამახარია: „აფხაზები ოფიციალურად კი გაიძახიან, რომ რუსები მათი ძმები და მეგობრები არიან, მაგრამ გენეტიკურად დევს აფხაზში, რომ რუსი არის მისი დაუძინებელი მტერი“

## აფხაზეთში რუს ბიზნესმენებს აწიოკებენ

— გვ. 5 —

ISSN 1987-9385

7 **რა მოხდა კრისტალბეთში**
გამოძიება მილიონობით განაღდებული ლარის საქმეს სწავლობს

3 **„სამხედროების კვების რაციონში ხორცი არ არის**

5 **გივი თარგამაძე: „შავი სკაროსის ხაზეინი ხაზარაძეს ფეხებს ვერ მოჭამს“**

7 **„უმძიმესი პაციენტი იყო“**
ბაკურიანში ავარიისას დაშავებული 30 წლის ქალი გარდაიცვალა

# „ივანიშვილმა ხაზარაძეს რამდენჯერმე მოსთხოვა, ხელი აეღო ანაკლიის პორტზე“

შორენა მარსაგიშვილი



## „ოცნების“ ლიდერი იმ დონეზე დავიდა, რომ უკვე იმას არჩევს, ვინ უნდა შემოიტანოს საქართველოში კვერცხი“

**რატომ გადაეკიდა ივანიშვილი ხაზარაძეს, რას ითხოვდა ვანო ჩხარტიშვილი, რა ხდებოდა ანაკლიის პორტის გარშემო მთავრობაში, რას ვერ ხვდება „ოცნების“ ლიდერი, რატომ არის რევოლუცია გარდაუვალი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.**

**სანდრო ბრეგაძე:**

— ქვეყანაში ვულკანის ამოფრქვევის წინა პერიოდია. სამწუხაროდ, ამას ყველაზე ნაკლებად ბიძინა ივანიშვილი ხვდება. ის იმიტომ ვერ ხვდება ვერაფერს, რომ მლიქვნელებით არის გარშემორტყმული და მათი წყალობით რეალობას მოსწყდა.

დუღილი არის პოლიტიკაში, დუღილი არის ეკონომიკასა და საბანკო სისტემაში, დუღილის პროცესი დაიწყო საპატრიარქოშიც, სადაც გარეშე ძალები ერევიან. დუღილი არის სპორტში — მარტო ჭიდაობის ფედერაციაში მიმდინარე ამბები რად ღირს. ყველა სფეროშია დუღილი.

ეს დუღილი ძალიან მალე აფეთქებაში გადაიზრდება. ელემენტარული ბუნების კანონია, რომ დუღილს რაღაც შედეგი აუცილებლად მოყვება.

## სანდრო ბრეგაძე: „მდინარაძემ, კობახიძემ და ზარდიაშვილმა ქონება საზღვარგარეთ გაიტანეს“

ამას ივანიშვილი ვერ ხვდება და ჰგონია, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქამდე იყო. არადა, ასე გაგრძელება შეუძლებელია.

მამუკა ხაზარაძის და თიბისი ბანკის გარშემო მიმდინარე პროცესები ასე უკვალოდ არ ჩაივლის. ამასთან დაკავშირებით მინდა ექსკლუზიური ინფორმაცია მოგაწოდოთ.

იმ დროს ჯერ კიდევ საქართველოს მთავრობის წევრი ვიყავი, როცა გიორგი კვირიკაშვილის მეცადინეობით ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი ხაზარაძეს გადაეცა.

ამ პროცესს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა დავით საგანელიძე. საგანელიძე გახლდათ ამ ყველაფრის შემოქმედი. ის ანაწილებდა ანაკლიის პორტის ტენდერში გამარჯვებულებს შორის წილებს.

თავად საგანელიძისგან და სხვებისგანაც ვიცი, რომ ვანო ჩხარტიშვილი სისხლხორცეულად იყო იმით დაინტერესებული, რომ ანაკლიის პორტის პროექტი მას ჩაეგდო ხელში. მოხდა ისე, რომ მაშინდელმა პრემიერმა კვირიკაშვილმა ჩხარტიშვილი უარყო. მან ივანიშვილის რეკომენდაციასაც კი არ გაუწია ანგარიში.

***— ვანო ჩხარტიშვილს ივანიშვილი უწევდა რეკომენდაციას?***

— რა თქმა უნდა. ანაკლიის პორტის პროექტის ხელში ჩაგდებაში ჩხარტიშვილს „ოცნების“ ლიდერი ეხმარებოდა.

— რაში გამოიხატებოდა ეს დახმარება?

— მამუკა ხაზარაძეს პირდაპირ უთხრეს, რომ ამ პროექტიდან გვერდზე გაწეულიყო. ივანიშვილმა ხაზარაძეს რამდენჯერმე მოსთხოვა, ხელი აეღო ანაკლიის პორტზე. ხაზარაძეს კი იმ დროს ჰქონდა მოქმედი პრემიერის მხარდაჭერა და მოახერხა ამ ტენდერის მოგება.

როგორც გითხარით, მაშინ მე მთავრობის წევრი ვიყავი და ჩემი თვალით ვუყურებდი, რა ხდებოდა, როცა ტენდერის შედეგები გამოცხადდა. მთელ სახელისუფლებო გუნდში სერიოზული პანიკა იყო.

მაშინ დაიქადნა ვანო ჩხარტიშვილი, რომ მამუკა ხაზარაძეს ამ ტენდერის მოგებას არ შეარჩენდა. ჩხარტიშვილის უკან ივანიშვილი დგას. მათ თიბისი ბანკის ხელმძღვანელს ურჩობა არ აპატიეს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ არის ანაკლია ასეთი მნიშვნელოვანი ან ერთი ან მეორე მხარისთვის. არც ჩხარტიშვილი და არც ხაზარაძე იმით არ არიან დაინტერესებული, რომ საქართველო და ანაკლიის პორტი ააყვავონ.

ანაკლიის პორტის მშენებლობა არის მილიარდობით შავი ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალება. ანაკლიის პორტი არის ფულის გათეთრების კონვეიერი, სადაც ვიღაცების ჯიბეში ძალიან ბევრი ფული დაილექება.

ფულის გათეთრება არის კრიმინალი. ეს ბიზნეს-კრიმინალი არის ამ დაპირისპირების მთავარი მიზეზი.

***— არის ვერსია, რომ ივანიშვილი ხაზარაძეს იმიტომ დაუპირისპირდა, რომ ის პოლიტიკაში აპირებს წასვლას. თქვენ ამ ვერსიას გამორიცხავთ?***

— რა პოლიტიკურ აქტიურობას უნდა აპირებდეს ხაზარაძე? ის არის ჩვეულებრივი კონფორმისტი, რომელიც მშვენივრად გრძნობდა თავს ყველა ხელისუფლების დროს. ანაკლია რომ არა, ის დღევანდელ ხელისუფლებასთან დღემდე ჩახუტებული იქნებოდა.

გასული წლის მაისში ბასიანთან დაკავშირებული ნარკომანების აქციის დამფინანსებელი იყო მამუკა ხაზარაძე. სხვათა შორის, კვირიკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს აქციები იყო.

მას პრეტენზიები წაუყენეს, რომ ხაზარაძესთან ერთად თავადაც იდგა ამ აქციების უკან.

***— ხაზარაძეს რაში აწყობდა ამ აქციების დაფინანსება?***

— იმ დროისთვის მას უკვე მოგებული ჰქონდა ტენდერი და ივანიშვილი-ჩხარტიშვილი პრობლემებს უქმნიდნენ. მას შემდეგ, რაც კვირიკაშვილს პოზიციები შეერყა, თიბისი ბანკის ხელმძღვანელი მუდმივ ბრძოლაში იყო.

***— ყველა ასეთ დაპირისპირებაში გარეულია ვანო ჩხარტიშვილი და ვინ არის ამისთანა, რომ ყველაფერში ეგ ერევა?***

— ჩხარტიშვილი რომ ერევა ამ საქმეებში, მაგიტომაც ვამბობ, რომ ანაკლიის პორტის აშენება არავის სურს კეთილშობილური მიზნებისთვის. არც ის დაიჯეროთ, რომ აქ ვინმე იჩაგრება. ეს არის ჩვეულებრივი კრიმინალური ბანდების დატაკება ერთმანეთთან.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატებში ჯო მასერიას და სალვატორე მარანძანოს კლანები ებრძოდნენ ერთმანეთს. ჩხარტიშვილი და ხაზარაძე თანამედროვე მასერია და მარანძანო არიან.

ორივე მათგანს უზარმაზარი კაპიტალი აქვს, მაგრამ ისე გაეზარდათ ეს მადა, რომ აღარაფერი აღარ ყოფნით, გამომუშავებული აქვთ ფულის შოვნის ნადირის ინსტინქტი და ამ ინსტინქტით ჭამენ ერთმანეთს. ერთმანეთს რას უშვრებიან და წარმოიდგინეთ, რას უზამენ რიგით ადამიანებს.

***— თავისი ბიზნესის გადასარჩენად წავა თუ არა ხაზარაძე პოლიტიკაში, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ ივანიშვილმა გააკეთა?***

— ვერ გეტყვით. ხაზარაძე ძველი კომკავშირელია. თავის დროზე ის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ აქციებში იყო ჩართული. ვიცი ისიც, რომ ის კონფორმისტია, მაგრამ არ ვიცი, წავა თუ არა პოლიტიკაში.

ისე, მას „ოცნების“ ლიდერი სხვა გამოსავალს არ უტოვებს. თუ ის ბრალდება დაუმტკიცდა, მას 20-დან 25 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ის კუთხეშია მომწყვდეული და, ერთი შეხედვით, სხვა გამოსავალი არა აქვს, მაგრამ ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

***— რას გულისხმობთ?***

— ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ. ხვალ შეიძლება ხაზარაძე და ჩხარტიშვილი ივანიშვილთან ავიდნენ, ბუხრის პირას დასხდნენ და, როგორც მაფიოზებს შეეფერებათ, ისე მოგვარდნენ ერთმანეთში. მაფიის ბოსს თავისუფლად შეუძლია მათი შერიგება. ივანიშვილი ფაქტიურად ლაკი ლუჩიანოა.

მაფიოზური კლანებში შერიგება მოსულა, მაგრამ ზოგჯერ ეს დაპირისპირება სისხლისმღვრელ ომებშიც გადაზრდილა. ამიტომ რამის პროგნოზირება ძალიან ძნელია.

ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ორივე მხარეს დგას ის ხალხი, რომლებიც დღემდე ჭამენ საქართველოს მოსახლეობის ქონებას. ისინი ჩვეულებრივი თაღლითები და ავაზაკები არიან.

მინდა მივმართო მოსახლეობას, არცერთ მათგანს არ მოასხას წამებულის მანტია. ხალხი ამ მაფიოზების წინააღმდეგ უნდა წავიდეს, რომელიმე მათგანისთვის მხარდაჭერა დაუშვებელია.

მევახშეებს და ანაბრების მიმტაცებლებს ხალხი ისე უნდა უყურებდეს, როგორც კეთროვანს, ესენი წარმოადგენენ ვირუსს, რომელიც საქართველოს ავადსახსენებელი შევარდნაძის დროიდან მოჰყვება.

მათ ხალხის ძარცვით ძალიან დიდი ფული იშოვეს. მილიარდერები არიან. შეიძლება ივანიშვილზე მეტი ქონებაც კი აქვთ დაგროვილი.

ხალხი ორივე მხარის წინააღმდეგ უნდა წავიდეს და თაღლითები ქვეყნიდან გააძევოს.

ძალიან საშინელ დღეში ვართ. პირადად მე ბიძინა ივანიშვილს უკვე ველარ ვცნობ. ხანდახან მგონია, რომ ის გამოცვალეს.

***— რას ნიშნავს გამოცვალეს?***

— ეს ის ივანიშვილი არ არის, რომელიც მე 2012 წელს გავიცანი. იმ ადამიანისგან დღევანდელი ივანიშვილი რადიკალურად განსხვავდება.

მე არ ვიცი, რა უყო მას ხელისუფლებაში ყოფნამ, მაგრამ ეს ადამიანი დაბრმავებული და დაყრუებულია, ან თავს გვაჩვენებს, რომ ამ მდგომარეობაშია. მას გაშვებული აქვს სადავეები ხელიდან და გადასულია მაფიოზურ გარჩევებზე.

მომაწოდეს ინფორმაცია, რომ „ოცნების“ ლიდერი ისეთ ბიზნესგარჩევებში ერევა, რომლებიც ძალიან სასაცილოა.

***— მაგალითად, რაში ერევა?***

— მაგალითად, იმას წყვეტს, თუ ვინ უნდა შემოიტანოს საქართველოში კარაქი და კვერცხი, ვინ უნდა გაიტანოს საქართველოდან ხილი და მწვანილი.

ეს ადამიანი სრულიად გასულია მომსახურების ზონიდან. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ის ქართველ ხალხს ნიკო ნიკოლაძის დონეზე ჰყავდა აყვანილი. ამ უაზრო ქმედებებით საკუთარი თავი მიწაზე დაანარცხა. ის ისეთი ავაზაკების საქმეების გამრჩევად გადაიქცა, როგორებიც არიან ჩხარტიშვილი, ხაზარაძე, ოქუაშვილი.

ფაქტობრივად, ეგ წყვეტსვ ვინ სიგარეტი უნდა მოწიოს და ვინ ჩიბუხი გააბოლოს.

***— ზემოთ ახსენეთ, რომ ქვეყანაში დუღილი მიდის, რომელიც რაღაცით დამთავრდებაო რა იქნება ეს რაღაც?***

— ეს დუღილი რევოლუციით დამთავრდება. რევოლუცია გარდაუვალია. „ქართული ოცნება“ რომ დამთავრებულია, ამას ივანიშვილის გარდა ყველა ხვდება. იმდენად ცუდად არის მმართველი პარტიის საქმე, რომ ზარდიაშვილი, მდინარაძე და კობახიძე უკვე გასაქცევად ემზადებიან.



***— რას ნიშნავს გასაქცევად ემზადებიან?***

— რას ნიშნავს და იმას, რომ ამ ადამიანებმა მთელი თავიანთი ქონება უცხოეთში გაიტანეს. „ქართული ოცნების“ ახალი სახეები უცხოეთში გამალებით ყიდულობენ ბინებს. ისინი აცნობიერებენ, რომ მათი დრო დამთავრდა.

ისე მიდის საქმეები, ივანიშვილს რიჩარდ მესამის ფრაზის წარმოთქმა მოუწევს — მთელ სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევო. ის იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ცხენის მომყვანიც კი არ ეყოლება.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ინტერვიუს აუცილებლად წაიკითხავს. ამიტომაც მინდა ვუთხრა, რომ მე ამას, როგორც მისი მოყვარე, ისე ვეუბნები.

მართალია, ვაკრიტიკებ, მაგრამ არ მინდა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, როგორშიც საქართველოს არცერთი მმართველი არ ჩავარდნილი. ის შევარდნაძეზე და სააკაშვილზე უარეს დღეში ჩავარდება.

მას შეიძლება წასასვლელიც კი აღარსად ჰქონდეს. რუსეთში ის ვერ გაიქცევა და არც დასავლეთი არ მიიღებს მას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ „ქართული ოცნება“ დასრულებულია. მე იმის მეშინია, ამით ისეთმა ძალებმა არ ისარგებლონ, რომლებიც ქვეყანას იმაზე უარეს დღეში ჩააგდებენ, ვიდრე ახლა ვართ.

***— ამ ძალებში ნაციონალებს გულისხმობთ?***

— ნაციონალებსაც, მათთან მიტმასნილებსაც და ლიბერასტებსაც.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „მამუკა ხაზარაძე იბრძოლებს, მაგრამ ბარიკადებზე არ ავა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, თიბისი ბანკთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი პოლიტიკურ რევანშზე საუბრობს. იხსენებენ კვირიკაშვილისა და ხაზარაძის მეგობრობას, ანაკლიის პორტსა და ა.შ. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკი სწორად იქცევა. თქვენ რას იტყვით?***

— მამუკა ხაზარაძე არ არის ჩვეულებრივი, რიგითი, პატარა ბიზნესმენი, რომელსაც ლევან მურუსიძის იქით გზა არ აქვს. მამუკა ხაზარაძეს აქვს შესაძლებლობა, რომ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, ნომერ პირველი პროფესიონალი ადვოკატები დაიქირავოს და თავისი სიმართლე ნებისმიერ ფასად დაიცვას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ნებისმიერ ადგილზე.

მე არ მიკვირს, რომ ვისაც არ ეზარება, ყველა ივანიშვილის კვალზე საუბრობს, რადგან ჩვენმა საზოგადოებამ თვით გამოცდების გაუქმებაშიც კი პოლიტიკა დაინახა და დაასკვნა, რომ ეს მოზარდები ამომრჩევლები გახდებიან და ამიტომ მიიღო ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება.

***— გამორიცხავთ, რომ მამუკა ხაზარაძემ თავი ქვიშაში კი არ ჩარგოს, არამედ ღიად ისაუბროს, პოლიტიკურ პროცესებშიც ღიად გამოჩნდეს და 2020 წლისთვის ოპოზიცია დააფინანსოს?***

— არა, ამას სრულიად გამოვრიცხავ. ეს უფრო უტოპია მგონია. არავინ იცის, ორი წლის შემდეგ ხაზარაძე შეიძლება საერთოდ ჯიბეგამოხეული დარჩეს. სასამართლო პროცესები თუ დაიწყო, ეს უკვე წლების განმავლობაში გაიჭიმება.

ბადრი პატარკაციშვილის სასამართლო პროცესები ხომ გახსოვთ, რამდენი ხანი გაგრძელდა დროში. ხომ ხედავთ, ლონდონის ბირჟაზე უკვე როგორ დაეცა „თიბისის“ აქციების ფასი. ახლა მის თავს სულ სხვა პრობლემებია. მას ჯერ საკუთარი იმიჯი აქვს გადასარჩენი. ამიტომ, არა მგონია, მამუკა ხაზარაძემ უცებ ბადრი პატარკაციშვილის როლის თამაში დაიწყოს. ყოველ შემთხვევაში, მე ამას გამოვრიცხავ.

***— თუნდაც თავდაცვის მიზნით.***

— არა მგონია, ის უფრო სამართლებრივი გზით წავა, არ ვფიქრობ, რომ ხაზარაძე ბარიკადებზე ავიდეს. არა, ამას არ ველოდები მისგან. ხაზარაძეს 2020 წლის არჩევნებისთვის სხვა თავის ტკივილი ექნება.

***— რა?***

— როგორ გადაარჩინოს ის, რისი გადარჩენაც შესაძლებელი იქნება. დანაკარგები ძალიან დიდი იქნება. ეს არ არის მარტივი საქმე, საუბარია ბანკზე, ფინანსურ სექტორზე. აქ ყველაფერი თვლადია. უკვე ცხადია, რომ ამ დავიდან ხაზარაძე ჯიბედაცარიელებული თუ არა, ნაკლები რესურსებით გამოვა. ამიტომ, მე არ მგონია, რომ მას პოლიტიკისთვის ეცალოს და დარჩენილი რესურსები პოლიტიკისკენ მიმართოს.

მამუკა ხაზარაძისგან მე სრულად გამოვრიცხავ ბადრი პატარკაციშვილსა და თუნდაც 2012 წლის ბიძინა ივანიშვილს.

თავის დროზე ერთსაც ჰქონდა მიზეზი და მეორესაც, პოლიტიკაში მოსულიყვნენ და, მოდი, ასე ვთქვათ, პოლიტიკა ექციათ მთავარ ბიზნესად.

***— და ეს მიზეზი დღეს ხაზარაძეს არ აქვს?***

— შეიძლება, აქვს კიდეც, მაგრამ უკვე გვიანია. ახლა ის დროა, რომ ხაზარაძეს რაც აქვს, ის გადაარჩინოს.

***— ეს პროცესი ქვეყნის იმიჯზე როგორ იმოქმედებს, ხომ არ ფიქრობთ, რომ შელახავს? უკვე ელჩები აცხადებენ, რომ პროცესს აკვირდებიან.***

— რაც შეეხება ქვეყნის იმიჯს, აქ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა. ეს არ არის რომელიღაც სოფლის დუქანი, რომლის ბედიც არავის აღელვებს.

პოლიტიკური კრიზისი, სამთავრობო კრიზისი ნებისმიერ ქვეყანაში ბევრად უფრო თვალშისაცემია, ბევრად უფრო ხმაურიანია, მაგრამ დიდ კითხვის ნიშნებს არ იწვევს. ეს მაინც აღიქმება, როგორც ქვეყნის საშინაო პოლიტიკა. რაც შეეხება საბანკო სექტორს, ფინანსურ სექტორსა და იქ მიმდინარე კრიზისს, ეს შეიძლება ასეთი ხმაურიანი არ იყოს, თუმცა, ამ შემთხვევაში ინტერესი ერთიორად იზრდება.

დღეს მსოფლიოს ფინანსური სფეროს კაპიტნები განაგებენ, ამიტომ, ელჩები რომ აკვირდებიან ამ საქმის ყველა დეტალს, ეს გასაგებია და დააკვირდებიან კიდეც, რომ შემდეგ თავიანთ ქვეყნებში წაიღონ ინფორმაცია. ამიტომ, ღმერთმა ნუ ქნას, ეროვნული ბანკის მოტივაციაში ოდნავადაც კი ეჭვი შეიტანონ. თუ პროცესი არ იქნა გამჭვირვალე და ამას ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო, მაშინ სერიოზული კითხვები გაჩნდება.



ახლა ყველაზე მთავარი კითხვა ის არის, შეძლებს კი ეროვნული ბანკი, საერთაშორისო არენაზე დაამტკიცოს, რომ აქ პოლიტიკის ნასახიც არ არის. თუ ვერ შეძლო და ოდნავადაც კი გაჩნდა ამის ეჭვი, ეს ღმერთმა ნუ ქნას, მაშინ ჩვენი ქვეყნის მიმართულებით არანაირი ინვესტიცია არ წამოვა.

მე მაინც მგონია, რომ ეს ხელისუფლებას კარგად ესმის და კარგად აქვს გაცნობიერებული ამ საქმის მნიშვნელობა ყველა მიმართულებით. მმართველი პარტიის, ხელისუფლების სასიცოცხლო ინტერესშია, რომ ამ საქმეში ოდნავადაც კი არ გაჩნდეს ეჭვი. კიდევ ერთი, რაც დღეს აშკარად ჩანს, არის ის, რომ ხაზარაძე დანებებას არ აპირებს და ბრძოლა გაგრძელდება.

# ანზორ აბრალავა: „ვანო ზარდიაშვილს დედა, 11 წელია, არ უნახავს“

## „არ მესმის, რატომ აბამენ ჩემს შვილთან დაკავშირებულ ინციდენტს ვანო ზარდიაშვილს“

მარიამ მჭედლიშვილი



**საქართველოს მოქალაქეები — გრიგოლ აბრალავა, გიორგი კიკნაძე და გრიშა მარღანია ჯერჯერობით ისევ ოსლოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. „ახალი თაობა“ ესაუბრა გრიგოლ აბრალავას მამას, ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.**

**ანზორ აბრალავა:**

— ნორვეგიის სამართალდამცავი ორგანოები სწავლობენ ამ საკითხს. ძალიან მიკვირს, რომ ჩემ ვაჟს, გიგას, ქურდობას, თანაც, ტექნიკის ქურდობას ედავებიან. რომ ეთქვათ, ჩხუბში მიიღო მონაწილეობაო, დავიჯერებდი. გიგას შეუძლია გამოექომაგოს უცხო ადამიანსაც კი, თუ მას ჩაგრავენ. ქურდული მიდრეკილებები კი არასდროს ჰქონია.

შესაძლებელია, აქ გაუგებრობა იყოს. ევროპაში უამრავი ადამიანია ჩასული სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, საქართველოდან. ვიზალიბერალიზაციამ ევროპაში ბევრი ხალხი ჩაიყვანა. გასაკვირია ამ ინციდენტისგან ვაიუშველებელის შექმნა, მისი მიბმა ვანო ზარდიაშვილთან, რომლის ცოლისძმაა გიგა, მაგრამ ეს რა შუაშია?

***— ვანო ზარდიაშვილი ბოლოდროინდელი პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთი ფიგურანტია. გიორგი კიკნაძეც მისი ახლობელია. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ „ოცნების“ მამამთავარი ეკა ბესელიასთვის დარტყმის მიყენების შემდეგ ბესელიას მოწინააღმდეგე ზარდიაშვილსაც ძირავს.***

— ნათესაობა და ახლობლობა დანაშაული არ არის. რაც შეეხება ზარდიაშვილის ჩაძირვის მცდელობას, ეს ფანტაზიების სფეროდანაა. ჩვენს ოჯახს ბრძოლები ადრეც გადაუტანია. პირადად მე მტკიცე ნერვები და ნებისყოფა მაქვს. არც ვინმესთან შეჯახებას ვცდილობ. დისკრედიტაციით ვერ დამაშინებენ.

არსებობს საკითხები, რომლებშიც კაცი პრინციპული უნდა იყო, თუმცა, თანხმობისაკენაც უნდა ისწრაფვოდე. იმ პარლამენტში, რომელმაც თავის დროზე ეროვნული თანხმობის დეკლარაცია მიიღო, დეპუტატი ვიყავი. მოკრძალებით შემიძლია ვთქვა, რომ ის დოქტრინა დიდწილად ჩემი შემუშავებულია. ამაზე ვმუშაობდი პარლამენტში მოხვედრამდე. ტალახის სროლა უნდა ავიტანოთ. ჩვენ კი არა, ილიას და აკაკის ებრძოდნენ. ილია გამოასალმეს სიცოცხლეს. სხვა დროს აკაკისაც ესროლეს, მაგრამ ააცილეს.

***— ვანო ზარდიაშვილთან ამ ამბის დაკავშირება გასაკვირი არ უნდა იყოს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე.***

— გასაკვირი არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ ქვეყანაში ერთმა პატარა ჯგუფმა, რომელიც სიძულვილს აღვივებს, დაამყარა დიქტატურა.

***— რომელ ჯგუფზე საუბრობთ?***

— ტელეკომპანია რუსთავი-2-სა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაზე. ამ ხალხმა სიხარულის ყიჟინა ატეხა, ზარდიაშვილის ახლობლები ნორვეგიაში დააკავესო. წესიერი და ზნეობრივი ხალხი ნაცმოძრაობაშიც არის. ამ ადამიანებმა დამირეკეს და მომხდარის გამო წუხილი გამოთქვეს.

***— თქვენ, ალბათ, მომხდარის გამო თქვენი მოსაზრებები გაქვთ.***

— რამდენიმე ვერსიას განვიხილავ. იქ ბევრი ქართველია ჩასული. მათ შორის, არიან ამორალური პირები და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. შეიძლება, ვიღაცას დასჭირდა ცილისწამება.

სამწუხაროა, რომ ქვეყანაში საშინელი ატმოსფეროა შექმნილი. სიძულვილს და ზეწოლას შეეწირა ზუგდიდის მე-6 სკოლის დირექტორი. ის, რაც ჩემი ოჯახის მიმართ ხდება, ესეც სიძულვილის შედეგია. მე, როგორც პოლიტიკოსი, გამობრძმედილი ვარ, მაგრამ ხომ შეიძლება დედას მიაყენონ ზიანი? ტელევიზიას რატომ უნდა უხაროდეს ვინმეს დაკავება?

***— ეს პოლიტიკას უკავშირდება?***

— ვანო ზარდიაშვილს ათას ჭორს უგონებენ. პრაქტიკულად, ეჩხუბებიან, რომ ის სუნთქავს, აქვს სახლი, ჰყავს ოჯახი. ხან ბინას უმოწმებენ, ხან — სხვა ქონებას. ის კი არ იციან, რომ ვანო ზარდიაშვილს 11 წელიწადია, დედა არ უნახავს.

***— უცხოეთშია წასული?***

— დედა, ძმა, რძალი, დეიდა და მისი შვილები 11 წლის წინ ამერიკაში გაემგზავრნენ ლუკმაპურის საშოვნელად, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები.

ჩვენ ვართ დიქტატურის მოწმე, სადაც ერთ ტელევიზიას უფლება აქვს, ვინც უნდა, გასვაროს. მსხვერპლი კი თავს იმართლებს. ჩემს შვილზე აღტაცებული ყვიროდნენ, მაღაზიიდან აგრეგატი წაიღოო.

იმედი მაქვს, კომპეტენტური ორგანოები ყველაფერს გაარკვევენ. თუ ვინმე რამეშია გარეული, პასუხსაც აგებს. ის ვერ გამიგია, როდის გავთავისუფლდებით იმ ტელედიქტატურისაგან, რომელიც ხალხს სიტყვით ანადგურებს.

# „სამხედროების კვების რაციონში ხორცი არ არის“

რუსთავი 2-ის ცნობით, ორი კვირაა სამხედროების კვების რაციონში ხორცი არ არის. ტელეკომპანიის ცნობით, ტენდერი ჩაიშალა. ამის მიზეზი კი სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის. მედიისთვის ცნობილი ხდება, რომ 31 იანვრის შემდეგ ძეხვეულით და ხორც-პროდუქტებით ძალოვანი უწყების სამსახურები არ მარაგდებიან, მათ შორის ჯარისკაცები. გაერთიანებული კვების კომპანიის მიერ გაგზავნილი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ იმ შემთხვევაში თუ პირდაპირი შესყიდვის წესით ხელშეკრულება არ გაფორმდება, შესაძლოა, ჯარისკაცების კვებით მომარაგებას საფრთხე შეექმნას.

იანვარში მილიონნახევრიანი ტენდერი ჩაიშალა, ახლა კი გამოცხადებულია ახალი ტენდერი, რომელშიც ერთადერთი კომპანია — „გერმანული ყასაბი“ მონაწილეობს, რომელიც ჯარს ხორცით აქამდეც უზრუნველყოფდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შესაძლო კორუფციულ რისკებზე საუბრობენ.

— კორუფციული და დაუგეგმავი შესყიდვის შესაძლებლობას ძალიან ზრდის. ეს პრაქტიკა დამკვირდა, აცხადებენ სამინისტროები ტენდერს, ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტრო, რომელიც აპრიორი ჩავარდება და ვერ მოხდება მისი სწორი წესით განხორციელება, ეს უკვე არგუმენტია, რომ რა ვქნათ, ტენდერი გამოვაცხადეთ. ისეთი პირობები აქვს, ვერ იგებს ვერავინ, შემდეგ უკვე უფლება ეძლევა, იმისგან იყიდოს, ვისაც უნდა. ვისგანაც უნდა, იმისგან რომ ყიდულობს, იქ უკვე, დიდი ალბათობაა, რომ პიროვნების კერძო ინტერესები იყოს გათვალისწინებული, — განაცხადა საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელმა, ნოდარ ხარშილაძემ.

სპეციალისტები შესაბამის უწყებებს სთხოვენ, დაინტერესდნენ, რატომ იშლება ხშირად ტენდერი და შემდეგ პირდაპირი შესყიდვის წესით ხდება ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო გაცილებით მეტს იხდის და ასევე კორუფციის ნიშნებიც იკვეთება.

— ხომ არ ხდება შემთხვევით, შეგნებულად მსხვილ ბიუჯეტიანი შესყიდვის გადატანა გამარტივებული შესყიდვების სეგმენტში. იგივე კომპანია ამარაგებდა ე.ი. აქამდე უხარისხოს აჭმევდნენ. ამაზე პასუხი გასაცემი აქვთ. მეორე შეკითხვაა, რატომ გამარტივებული შესყიდვა? — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციის „შეაჩერე კორუფცია“ დამფუძნებელმა, ქეთევან ენუქიძემ.

თავდაცვის სფეროს სპეციალისტები თავდაცვის სამინისტროს ტენდერების შესწავლას ითხოვენ.

— თავდაცვის სამინისტროში ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ ზოგადი, ზედაპირული დაკვირვებითაც, რომ საკმაოდ ღრმად აქვს ფესვები გადგმული კორუფციას. დაწყებული სკანდალიდან, როდესაც რუსეთთან ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ადამიანი იგებს ტენდერს, როდესაც მიზანმიმართულად ხდება ტენდერების ჩაშლა და შემდეგ უკვე ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულების გაჩენა უკვე საკმარისი საფუძველია, რომ ამ საკითხის ფუნდამენტური, სიღრმისეული გამოკვლევა დაიწყოს, — განაცხადა საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცეპრეზიდენტმა, ბათუ ქუთელიამ.

თავდაცვის სამინისტრო ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა კვებით მომსახურებას, მათ შორის ხორც-პროდუქტებით მომარაგებას, საფრთხე არ შექმნია და არც მომავალში შეექმნება.



# პაატა შეშელიძე: „ხაზარაძე სასათბურე პირობებში მუშაობდა, ივანიშვილმა პირადი მოტივებით იმოქმედა“

## ეროვნული ბანკი საერთოდ არ არის საჭირო




ია გო ნაცვლიშვილი

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების, მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძისთვის ხელმოწერის უფლების შეჩერება და სამეთვალყურეო საბჭოდან გაწვევა მოითხოვა. სებ-მა ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის დარღვევა დაასახელა. საუბარია პროკურატურის მიერ 10 წლის დაგვიანებით დაწყებულ გამოძიებაზე. საგამოძიებო უწყება ბანკის დამფუძნებლებს 17 მილიონი დოლარის გათეთრებაში ადანაშაულებს. თუმცა არის მსჯელობა იმაზე, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის შურისძიება. კულუარული ინფორმაციით, ივანიშვილი ხაზარაძეს წილების დათმობასაც სთხოვდა.**

რასთან გვაქვს საქმე, ხომ არ ასრულებს ეროვნული ბანკი მთავრობის დავალებას და პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე საუბრობს:

***– რა შთაბეჭდილება გრჩებათ იმ გადაწყვეტილებაზე, რაც ეროვნულმა ბანკმა „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით მიიღო?***

– მე არაერთხელ მითქვამს, რომ ეროვნული ბანკი თავისი სტრუქტურით თავისი დანიშნულებით სრულიად ზედმეტი და არაფრის მომცემი ორგანიზაციაა, რომელიც, როგორც წესი, ეკონომიკის შეფერხებით არის დაკავებული და არა მისი განვითარებით. ის ასრულებს მთავრობის დავალებას და ეს უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკისთვის საზიანოა. არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეკონომიკის ნაწილში თუ მონეტარულ ნაწილში. ორივე შემთხვევაში ის ძალიან მავნებლურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ამიტომ, ეროვნული ბანკი თავისი არსით და თავისი სტრუქტურით არის არასაბაზრო წარმონაქმნი და ცუდი ბერკეტი მთავრობის ხელში. ის, როგორც წესი, ბაზრის კონტროლის, ბაზრის სუბიექტების დაშინებისა და მათზე გავლენის მოხდენისთვის იყენებს.

***– ანუ პოლიტიკური მანიპულაციისთვის იყენებს მთავრობა ეროვნულ ბანკს?***

– ნებისმიერი ქვეყნის ხელში პოლიტიკური მანიპულაციის საგანია. იმიტომ, რომ ის იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორიც პოლიტიკოსებს სჭირდებათ. ეს ყოველთვის პოლიტიკური თემაა. არ აქვს მნიშვნელობა, როგორია ის. თავი დავანებოთ ამ გადაწყვეტილებას, წინა გადაწყვეტილება რეგულირებასთან დაკავშირებით, რა, იგივე არ იყო?! ან იგივე არ იყო გადაწყვეტილება რეფინანსირების სესხთან დაკავშირებით?! ეს ყველაფერი პოლიტიკური თემებია. ეს არ არის საბაზრო გამოწვევა და საბაზრო მოთხოვნა.

ამიტომ, არ შეიძლება ასეთი ტიპის ბერკეტებით რეგულირდებოდეს ბაზარი, ტექნიკურად არასწორია. ამიტომ ზოგადად კრიტიკული ვარ ეროვნული ბანკის, როგორც ინსტიტუტის და მისი გადაწყვეტილებების მიმართ.

***– რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ ეს მიდგომები შეიცვალოს და აღარ ჰქონდეს მანიპულაციის შესაძლებლობა?***

– ამისთვის უნდა გაკეთდეს ის, რომ საერთოდ არ არის საჭირო ეროვნული ბანკი, როგორც ადრე იყო. ბანკებს შეუძლიათ თავისუფლად იმუშაონ. ფულიც შეიძლება თავისუფლად ჰქონდეთ ეროვნული ბანკის გარეშე. საუკუნეები ადამიანები ასე ცხოვრობდნენ და მაინცდამაინც ახლა რატომ გახდა საჭირო?! იმიტომ, რომ მთავრობამ აკონტროლოს?! ასე არაა?! ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამიტომ თავიდან უნდა დავიწყოთ პრობლემის არსის ძიება.

მთავრობის ინტერესია აკონტროლოს ბიზნესი, მასზე გავლენა ჰქონდეს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს თავისი ინტერესების გატარება, ანუ აიძულოს ის, რომ მთავრობის ინტერესი დააკმაყოფილოს. მარტივად ვუყურებ პროცესს. აქ კარგი ადამიანის და ცუდი ადამიანის სურვილზე არ არის დამოკიდებული. აქ არის ის ინსტიტუტი, რომელიც ზედმეტია და ქრონიკულად მახინჯი. ეს სრულიად ცალსახაა ჩემი შეფასებით.

***– რაც შეეხება ხელისუფლების მოქმედებებს, ამას როგორ შეაფასებთ. ამ პროცესში პოლიტიკურ კონტექსტს ვერ ხედავთ? ამ ხელისუფლების დროსაც უკვე არაერთხელ გაჩნდა განცდა, რომ ის ერევა ბიზნესის საქმეებში, რათა საკუთარი მიზნებისთვის გააკონტროლოს.***

– ეს არის მანკიერი მხარე. მთავრობას ყოველთვის აქვს მიდრეკილება, რომ გააკონტროლოს ბიზნესი. ეს გასაგებია. ამიტომ ვამბობ, რომ ბერკეტები უნდა იყოს შეკვეცილი. მათ შორის ეროვნული ბანკის გაუქმების სახით. ასეთი ინსტიტუცია ნამდვილად არ არის სასარგებლო ჩვენი ეკონომიკისათვის. პირადად ჩემთვის ამასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს.

***– ეროვნული ბანკის მიმართ საზოგადოებაში იყო განცდა, რომ ის არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია, განსხვავებით ბევრი სხვა ინსტიტუციისგან. ეს გადაწყვეტილება იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ დაიმორჩილა ეროვნული ბანკიც?***

– ეს არის მცდარი აზრი, როგორ შეიძლება ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი იყოს, როდესაც იქ არის დანიშნული ხალხი, ამიხსენით. იქ არიან დასაქმებული ხალხი, რომლებსაც მაღალი ხელფასები კანონით აქვთ განსაზღვრული და ა. შ. როგორ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ასეთი ინსტიტუტი?! ეს არის ტყუილი და ეს არის ადამიანების შეცდომაში შეყვანა და მეტი არაფერი. ამას ამბობდნენ გარკვეული ადამიანები, რაც საზოგადოების ნაწილმა აიტაცა. მე, მაგალითად, ეს პოზიცია არასოდეს არ გამიზიარებია.

***– როგორ წარმოგიდგენიათ „თიბისის“ გარშემო განვითარებული მოვლენები? ეკონომიკის გარდა, ეს ჩვენი ქვეყნის იმიჯზეც ხომ არ იქონიებს გავლენას, რადგან საბანკო სექტორი თითქმის ყველგან არის ხელშეუხებელი ბიზნესი?***

– სინამდვილეში ტრაგედია იცით რა არის? თვითონ ბანკირები, მეწარმეები და ბიზნესმენები ასეთ ჩარევებს ეგუებიან. პირიქით, ისინი ხელისუფლების მხარეს უფრო არიან, ფაქტობრივად ეს არის კლანი. ზოგი ხელმძღვანელი, ზოგი კი დაქვემდებარებული. ეს არის თიბისი ბანკის და სხვების ტრაგედია. ისინი ამ სისტემაში მუშაობდნენ, წლების განმავლობაში კმაყოფილები იყვნენ. ნულოვანი მხარდაჭერა გვქონდა ჩვენ, ვინც არსებულ ვითარებას ვაკრიტიკებდით. ახლა იმკიან იმას, რაც ხდება. ეს არის კიდევ ერთი პრობლემა.

ადამიანები ლოგიკურად არ აანალიზებენ... ისინი იმ ვითარებას იყენებდნენ, რომელიც ჰქონდათ, ფაქტობრივად სასათბურე სიტუაციაში მუშაობდნენ და აწყობდათ. ახლა როცა ცხვირში მოხვდათ, დაინახეს, რომ ეს პრობლემაა. როცა წლების განმავლობაში ამაზე ვსაუბრობდით, რომ არ შეიძლება ეს იყოს და სხვანაირად უნდა იყოს ეს ორგანიზებული, ყურს არ იბერტყავდნენ. ახლა შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად იმას იმკიან, რასაც თვითონ წლების განმავლობაში მხარს უჭერდნენ. ესეც არის მნიშვნელოვანი საკითხი.

***– თიბისი ბანკის თემაზე შურისძიებაც ხომ არ ჩანს ბიძინა ივანიშვილის მხრიდან?***

– რა თქმა უნდა, პირადი მოტივები ჩანს. მე ახლა დეტალები ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ კაცმა პირდაპირ განაცხადა, რომ ხაზარაძემ ბოდიში არ მოიხადაო, რაღაცა გავუკეთე და არ დააფასაო. ფაქტობრივად არასრულყოფილ ინსტიტუტთან ერთად, როგორიც ეროვნული ბანკია, ასევე არის არაფორმალური მმართველობა. ვიღაცა ტიპი, რომელსაც არანაირი თანამდებობრივი პოზიცია არ უკავია, უამრავ ადამიანს კარნახობს თავის პირად ინტერესებს, მათ შორის ეროვნულ ბანკს, ბიზნესს, საქართველოს და ფაქტობრივად თითოეულ ჩვენთაგანს. ეს არის სიმახინჯე. ეს არის ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერთან ერთად კომუნისტებსა და სოციალისტებს უჭერს მხარს. ამას არანაირი მორალური გამართლება არ აქვს. ყველანაირ სიბინძურეს უჭერს მხარს. მას შემოკრებილი ჰყავს გარშემო მონების დიდი მასა, რომლებიც მხოლოდ იმით არიან დაკავებულები, რომ ტაში დაუკრან და სხვა არაფერი ინტერესი არ აქვთ. ამით კი ისინი დამატებით შემოსავალს იღებენ შეღავათების პირდაპირი დაფინანსების და თავზე ხელის გადასმის ფორმით.

***– ცხადია, ივანიშვილს გულისხმობთ.***

– კი, რა თქმა უნდა.

***– არსებული ვითარებიდან გამოსავალს რაში ხედავთ?***

– ამ სისტემაში გამოსავალს ვერ ვხედავ. ადამიანური რესურსი ამოწურულია. ცვლილებების სივრცე ფაქტობრივად აღარ დარჩა. ამიტომ ადამიანური ცვლილებების გარეშე ეს სისტემა ვერ გარდაიქმნება. არ შეიძლება იგივე ადამიანებმა უკეთესი რამ გააკეთონ. ეს ტექნიკურად შეუძლებელია. საჭიროა ცვლილებები ადამიანურ დონეზე.

---

შორენა მარსაგიშვილი

# ემზარ კვიციანი: „საქართველო დემოგრაფიული კატასტროფისგან უნდა ვიხსნათ“

**დეპუტატ ემზარ კვიციანის ინიციატივამ სრულიად საქართველო გაახალისა. არადა პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი საკმაოდ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე ალაპარაკდა.**

– საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას და ეს გაეროს კვლევებითაც დასტურდება. რამე თუ არ ვიღონეთ, ცოტა ხანში გადავშენდებით, გავქრებით. ჩვენი მტრები, რომლებიც ოცნებობდნენ, რომ საქართველო ქართველების გარეშე ეხილათ, ამ ოცნებას აისრულებენ.

მე არ მინდა, რომ საქართველო ქართველების გარეშე იყოს. ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებ, რომ მტერმა არ გაიხაროს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ემზარ კვიციანი.

მას არ ესმის, თუ რატომ დაიწყეს ამ თემაზე ვიღაც-ვიღაცებმა ღადაობა. მიიჩნევს, რომ მხოლოდ მტერი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებას.



– ეს არ არის სასაცილო ამბავი. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე. ამ საქმის ლობისტი მე ვიქნები და ეს ჩემთვის დიდი პატივია. ის ხალხი, ვინც ამაზე იცინის, საქართველოს მტერია.

ისინი ცდილობენ, ეს თემა მასხრად აიგდონ. უნდათ, რომ ეს საქმე ჩაიშალოს. ეს ხალხი საქართველოს პირდაპირი მტერია, – ამბობს დეპუტატი.

ემზარ კვიციანი დარწმუნებულია, რომ მის მიერ დაწყებული საქმე შედეგს გამოიღებს. ამაში მას ემიგრანტების დახმარების იმედი აქვს.

– ეს იქნება ქართული ემიგრაციის დემოგრაფიული და ეკონომიკური ცენტრი. ჩვენ ემიგრაციაში უამრავი ადამიანი გვყავს, რომელიც არის წარმატებული ბიზნესმენი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, არ უჭირთ და სურთ საქართველოს დაეხმარონ.

აქამდე მათ არ ჰქონდათ ამის საშუალება, რადგან არავის შეუქმნია მსგავსი ცენტრი. ამიტომაც მომმართეს მე დასახმარებლად. შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი ინიციატივა იყო. ბიზნესმენი ემიგრანტები აპირებენ ცენტრის დაფინანსებას, – აღნიშნა ემზარ კვიციანმა.

ემზარ კვიციანის განმარტებით, საქართველოში ოჯახები იმიტომ ვერ იქმნება, რომ ახალგაზრდებს ფინანსურად უჭირთ. დეპუტატის თქმით, ორგანიზაცია ფინანსურად ახლად შექმნილ ოჯახებს დაეხმარება.

კვიციანი განმარტავს, რომ ცენტრის მუშაობა მოიცავს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებასაც.

– ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფის წინაშე დგას, რასაც ადასტურებს გაეროს კვლევები. ამ კვლევების მიხედვით, 2050 წლამდე საქართველოში ქართველები უმცირესობაში ვიქნებით. ამას ჩვენ ქართველებმა თუ არ ვუშველეთ, სხვა არ გვიშველის.

ცენტრი დაეხმარება დაოჯახებულ წყვილებს, რომლებიც საცხოვრებლად წავლენ მთაში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი საცხოვრებლად გადავა რეგიონში, სადაც მოქმედებს მთის კანონი, ოჯახი დამატებით დახმარებებს მიიღებს. დახმარება გაიცემა იმ დედებისთვის, რომლებსაც ჰყავთ (სსმ) შვილები. ამ მხრივ კანონპროექტსაც ვამზადებთ პატრიოტთა ალიანსში. ასეთ დედებს მძიმე სამუშაოს შემსრულებელი პირების ანაზღაურებასთან გათანაბრებული ხელფასი უნდა ჰქონდეთ. დავეხმარებით ასევე მრავალშვილიან დედებს, ცენტრის ფინანსებიდან გამომდინარე – პირველ, მეორე და მესამე შვილებზე 20-დან 100-ლარამდე დანამატები გაიცემა.

ჩვენ გვექნება შეხვედრა ბანკებთან, რომ უპროცენტო სესხები გაიცეს. გარკვეული სახის სესხი უნდა იყოს გაცემული უპროცენტოდ იმისთვის, რომ ფეხზე დადგეს ოჯახი. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს 3 ბავშვი ეყოლება, სესხის დასაფარ თანხას ცენტრი გადაიხდის, – განაცხადა ემზარ კვიციანმა.

კვიციანი ამბობს, რომ ამ საქმეში ფულს დეპუტატებიც ჩადებენ.

– პარლამენტში ბევრი შეძლებული დეპუტატია. ცენტრისთვის ისინიც დადებენ თანხებს. სვანი დეპუტატები ყველა ჩემს გვერდით არის. ამ ცენტრისთვის თანხას მეც ჩავრიცხავ, – აღნიშნავს დეპუტატი.

# აფხაზეთში რუს ბიზნესმენებს აწიოკებენ



## ჯემალ გამახარია: „აფხაზები ოფიციალურად კი გაიძახიან, რომ რუსები მათი ძმები და მეგობრები არიან, მაგრამ გენეტიკურად დევს აფხაზში, რომ რუსი არის მისი დაუძინებელი მტერი“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთში „უცნაური“ რამ ხდება – იქ მომუშავე რუს ბიზნესმენებს იტაცებენ, კლავენ, ავიწროვებენ, ბიზნესებს ართმევენ და აფხაზეთიდან აძევებენ. ასეთი დამოკიდებულება ბოლო თვეებშიც გრძელდებოდა. რა საფუძველი აქვს აფხაზეთში რუსი ბიზნესმენების შევიწროებას? – ამის თაობაზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობას“ ესაუბრა. მისი თქმით, საქმე გვაქვს მიზანმიმართულ ქმედებასთან.**

***– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში რუს ბიზნესმენებს ავიწროვებენ. რა საფუძველი აქვს რუსებისა და აფხაზების დაპირისპირებას? რას ნიშნავს ეს?***

– ბოლო პერიოდში ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში რუს ბიზნესმენებს დევნიან, ბიზნესებს ართმევენ, კლავენ, იტაცებენ. ეს პროცესი კარგა ხანია დაიწყო, ბოლო პერიოდში არ დაწყებულა. თუმცა, ბოლო დღეებში რამდენიმე მკვლელობა მოხდა, რამაც ეს თემა კვლავ გაააქტიურა. 15 იანვარს დაჭრეს და 26 იანვარს მოსკოვში წაიყვანეს (იქ გარდაიცვალა) ბიზნესმენი მიხეილ ოვალენკო, რომელიც პროფესორიც ყოფილა. ის ლიძავაში ააფეთქეს და გარდაიცვალა.

ასევე ტამიშში მოკლეს რუსი მცირე მეწარმე მიხეილ მასლოვი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა აფხაზეთში, პატარა საწარმო და პატარა პროფილაქტიკა გახსნა (ეს ყველაფერი ხდება იანვარში), მოკლეს.

დააყაჩაღეს ვინმე გოძელევი. ამ მკვლელობებმა გაააქტიურა აფხაზეთში რუსი ბიზნესმენების შევიწროების თემა. რუსული პრესა აქტიურად წერს ამის შესახებ.

***– ამას კრემლი როგორ ითმენს?***

– საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ზახაროვამ ამის შესახებ ძალიან რბილი განცხადება გააკეთა. თუმცა, იქვე თქვა, რომ რუსეთი გადამჭრელ ზომებს მიიღებს, ამისთვის რაღაც დოკუმენტს ამზადებს, მაგრამ ჩვენ ჯერ რაიმე დოკუმენტი არ გვინახავს.

***– ასეთი დამოკიდებულების მიზეზი რა არის?***

– სანამ სიღრმისეულ მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, ერთ ფაქტს გავიხსენებ: როდესაც ომის მიზეზებს ვსწავლობდით, ჩვენ ერთ ფაქტს მივაქციეთ ყურადღება – განსაკუთრებით ომის დასრულების შემდეგ, ქართველ მოსახლეობას ეთნიკური წმენდა და გენოციდი რომ ჩაუტარდა, იქ არც რუსები დაინდეს. აფხაზეთში თითქმის არ იყო ისეთი ქართველებით დასახლებული სოფელი, სადაც ერთი რუსული ოჯახი მაინც არ ცხოვრობდა. არც ერთი რუსული ოჯახი ცოცხალი არ დაუტოვებიათ, ყველა ამოწყვიტეს დიდიან-პატარიანად.

***– რატომ ამოჟლიტეს?***

– სწორედ ეს არის საინტერესო, რატომ ამოჟლიტეს. ომის შემდეგ აფხაზეთი დაიცალა, ძალიან ბევრი რუსი წავიდა იქიდან. ძალიან ბევრს უკან დაბრუნების საშუალება არ მისცეს. ბინები ჩამოართვეს. შემდეგ რუსების მცირე ნაწილმა ბინები დაიბრუნა, დიდმა ნაწილმა ვერ დაიბრუნა. იყვნენ ხანში შესული რუსები, რომლებიც აფხაზეთში ბინებში ცხოვრობდნენ. მათი უმეტესობა ბინებიდან გამოყარეს და ყველაფერი ჩამოართვეს. ამის შემდეგ მე დიდად არ მიკვირს, რომ ბიზნესმენებზე ნადირობა დაიწყეს.

რამდენიმე მაგალითს კიდევ მოვიყვან. რამდენიმე წლის წინ, აფხაზეთში რუსი დიპლომატი დიმიტრი ვიშევნევი მეუღლესთან ერთად მოკლეს. ეს ნიშანდობლივია, შემთხვევით არაფერი ხდება.

***– რა პროცესია ეს, მით უფრო, როცა მკვლელობები, გატაცებები, ქონების წართმევა შემთხვევით არ ხდება?***

– ჯერ ფაქტობრივ გარემოებებს წარმოვადგენ და მერე გავაკეთოთ ანალიზი, რასთან გვაქვს საქმე, რადგან ბოლო პერიოდში ძალიან არის გააქტიურებული რუსი ბიზნესმენების შევიწროების თემა. ძალიან გახმაურებული იყო აგრეთვე ბიზნესმენ სერგეი კნემანტოვიჩისა და მისი თანმხლები ქალბატონის ოლგა სტარედნოვას დაკარგვის ფაქტი. ისინი ერთი წლის შემდეგ, ერთ-ერთი სოფლის ჭაში აღმოაჩინეს. ამ საქმეზე ერთ-ერთი აფხაზი დეპუტატია დაკავებული.

გაგრაში 2004 წელს ძველი უნივერმაღის მოდერნიზაცია მოხდა. იქ რუსმა ბიზნესმენმა იგორ ლაროვმა მილიონნახევარი დოლარი დახარჯა და დიდი სავაჭრო ცენტრი შექმნა, სადაც 130 კაცი მუშაობდა. ლაროვს აფხაზი პარტნიორები ჰყავდა. როცა უკვე ცენტრი აეწყო და მომგებიანი გახდა, ლაროვი გააგდეს და იმ უნივერმაღს თვითონ დაეპატრონნენ. თუმცა, თავი ვერ მოაბეს და დღეს ის შენობა უმოქმედოა, იქ ვაჭრობა არ მიმდინარეობს.

აფხაზეთში ყველაზე გახმაურებულია (დღესაც არ არის შეწყვეტილი ამაზე ხმაური) მოსკოველი ბიზნესმენის მიხეილ პანოვის საქმე. პანოვმა ლიხნში 2014 წელს ააშენა პლასტიკური მილების გამომშვები ქარხანა, რომელიც ძალიან რენტაბელურია. ეს ისეთი პროდუქტია, რომელიც იყიდება. პანოვმა ამ ქარხანას 100 მილიონი დაახარჯა. ქარხანა მისი საკუთრება იყო. იქ მას მოწილე არ ჰყავდა. სამსახურში აიყვანა ადგილობრივი აფხაზები.

2016 წელს, როდესაც საწარმო უკვე წელში გაიმართა, პროდუქცია გამოუშვა და მომგებიანი გახდა, ამ კაცს ქარხანა წაართვეს. ახლა პანოვი დარბის ზევით-ქვევით, ხან ხაჯიმბას ხვდება, ხან იქაურ ე.წ. მთავრობას, ხან იქაურ ე.წ. სასამართლოს და პროკურატურას, ხან მოსკოვში დარბის დუმაში, ხან სად, მაგრამ, ჯერჯერობით, მან სამართალი ვერ იპოვა. ვნახოთ, რით დამთავრდება ეს ყოველივე.

აფხაზეთიდან ასევე არაერთი ბიზნესმენი გააქციეს. მაგალითად, აკსარინა და ჩერეპანოვა. მათ სასტუმრო წაართვეს.

კიდევ ერთი ბიზნესმენი, იაკოვლევი, გაიტაცეს, 20 თვე იმყოფებოდა ტყვეობაში. მის გათავისუფლებაში რუსეთმა კადიროვიც კი ჩართო და ძლივს მოძებნეს ეს ადამიანი, მაგრამ რისი ბიზნესი, რა ბიზნესი, ყველაფერი წაართვეს და კაცი გააგდეს აფხაზეთიდან. მე ძალიან გახმაურებული მაგალითები მოგიყვანეთ. ისეთ ფაქტებსა და პრობლემებზე გესაუბრეთ, რომელზეც ჯერ პასუხი არ არის.

***– ანუ აფხაზეთში რუსი ბიზნესმენების შევიწროება ტენდენციად იქცა?***

– დიახ, ტენდენციაა. ეს ტენდენცია გამოკვეთილია. აფხაზეთში თურქი ბიზნესმენებიც არიან, თუმცა, არა იმ რაოდენობით, რამდენიც რუსია. ამ დონის დევნა-შევიწროება, ბიზნესის წართმევა და მკვლელობები არ ხდება. შეიძლება შევიწროების ფაქტები იყო, მაგრამ ასე ხშირად და მიზანმიმართულად რომ მომხდარიყო, არ გამიგია.

აფხაზეთში არა მხოლოდ რუსი ბიზნესმენების მიმართ არის ასეთი განწყობა. შემთხვევით არ დავიწყე საუბარი იქიდან, რომ 1993 წელს ქართულ სოფლებში ერთი-ორი რუსული ოჯახი მაინც ცხოვრობდა. ისინი დედაბუდიანად ამოჟლიტეს, იმ ოჯახებიდან ცოცხალი არავინ დაუტოვებიათ.

***– ბატონო ჯემალ, ვითომ დამოუკიდებლობის მოპოვებაში აფხაზებს ხომ რუსები დაეხმარნენ, რატომ ვერ უფასებენ? რასთან გვაქვს საქმე?***

– ეს არის ძალიან საინტერესო. როდესაც თვითონ რუსები ანალიზს აკეთებენ, სრულ სიმართლეს მაინც არ ამბობენ, არ უნდათ სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავონ. საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთში არის დიდი ქაოსი, განუკითხაობა, სამართალდამცავი ორგანოები სუსტია, რესურსები არ აქვთ, მაგრამ ამავდროულად რუსეთის ხელისუფლებას აძლევენ რეკომენდაციებს, რომ ვითარების სტაბილიზაციისთვის, აფხაზებს ძალა არ ჰყოფნით – იქ წესრიგის დამყარება მათ შესაძლებლობებს აღემატება.

ამიტომ საჭიროა ძლიერი ხელი, რეპრესიები, საჭიროა ისეთი მმართველობა, რომელიც ყოველივე ამას თავს გაართმევს. აფხაზებს კი ამის რესურსი და შესაძლებლობა არ აქვთ. ასეთი ზოგადი რეკომენდაციები აქვთ, რომ იქ ადგილი არ აქვს ეთნიკურ დაპირისპირებას და მიზანმიმართულ ქმედებებს. სინამდვილეში სწორედ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ ქმედებასთან.

***– რატომ ფიქრობთ, რომ მიზანმიმართულ ქმედებასთან გვაქვს საქმე?***

– იმიტომ, რომ ერთ-ორ ფაქტთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ მოვლენასთან, რომელიც, ძალიანაც რომ დახუჭო თვალები, მაინც დაინახავ და გაიგონებ იმას, რომ აფხაზები შურს იძიებენ რუსებზე, სძულთ რუსები, როგორც ხალხი, როგორც ერი.

***– სიძულვილის მიზეზი რა არის?***

– აფხაზები ოფიციალურად კი გაიძახიან, რომ რუსები მათი ძმები და მეგობრები არიან, მაგრამ გენეტიკურად დევს აფხაზში, რომ რუსი არის მისი დაუძინებელი მტერი. ეს ყველამ კარგად იცის. აფხაზები ჩვენთან პირად საუბრებშიც (როცა აქ ჩამოდიან) პირდაპირ ლაპარაკობენ, რომ რუსებმა მათი სიყვარულით კი არ გამოაცხადებინეს აფხაზებს დამოუკიდებლობა, ე.წ. დამოუკიდებლობა არის აფხაზეთის ოკუპაციის, განსაკუთრებით, მისი ანექსიის ერთ-ერთი ფორმა და საშუალება. აფხაზები ხედავენ, რომ რუსები თავისი ბიზნესმენებით, ჯარითა და მთელი თავიანთი ქმედებებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ იქითკენ, აიძულონ აფხაზები უარი თქვან დღევანდელ სტატუსზე და შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში.

***– რაც აფხაზების სრულ ასიმილაციას გამოიწვევს.***

– აფხაზების 99,9%-მა იცის, რა პოლიტიკას ატარებს რუსეთი, რა არის ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანი. ეს არის მათი პროტესტი. ჯერ ერთი, არის ისტორიული შურისძიება მოჰაჯირობისთვის, მე-18 საუკუნეში რუსების მიერ აფხაზების გაწყვეტისთვის. ახლა რუსეთი აფხაზებს კიდევ უარესს უქადის. ეს მათ ძალიან კარგად იციან და ეს არის მათი რეაქცია ყოველივე ამაზე.

მათ იციან, რომ რუსეთს ნაბიჯ-ნაბიჯ საქმე მიჰყავთ აფხაზეთის მიერთებისკენ. უნდათ, აფხაზეთი იყოს რუსეთის ერთ-ერთი რეგიონი. ეს გეგმა გახმოვანდა ჟირინოვსკის მიერ, რომელიც კრემლის გეგმების გამხმოვანებელია. მან არაერთხელ თქვა, აფხაზეთი იქნება კრასნოდარის მხარე სოხუმის რაიონიო (აფხაზეთს უწოდა რაიონი), ანუ რა მოელით აფხაზებს, ამაზე შიგადაშიგ საუბრობენ. ამაზე რეაქცია არის ის, რაც ახლა ხდება აფხაზეთში ბიზნესმენების, უბრალო ადამიანების მიმართ.

***– სოჭი ხომ მიიერთეს, ახლა აფხაზეთის მიერთება უნდათ?***

– დიახ. აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში, რომელსაც სახალხო კრება ჰქვია, ერთი რუსი დეპუტატიც არ არის. მოსახლეობის რეაქცია რუსულ პოლიტიკაზე ეს არის. ხვალ და ზეგ რაში გადაიზრდება, ამის პროგნოზირება ძნელია. თუ აფხაზურ სოციალურ ქსელებს თვალს გადაავლებ (ძალიან აქტიურები არიან და ბევრს წერენ), იქ დაინახავ რუსეთის მიმართ ძალიან კრიტიკულ აზრსაც და მხოლოდ აქა-იქ გამოერევა ისეთები, რომლებიც წერენ: ჩვენი მომავალი არის რუსეთთან შეერთება და ა.შ.

ეს აზრი ნელ-ნელა ძლიერდება აფხაზურ საზოგადოებაში, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, რუსეთს უნდა მიუერთდნენ. რუსეთი ამისთვის ძალიან ბევრს მუშაობს. იქ არის რუსული და სომხური მოსახლეობა. რუსებისთვის მთავარი დასაყრდენი აფხაზეთში სომხური მოსახლეობაა. ამას ემატება აფხაზების გარკვეული ნაწილი, ანუ მოსახლეობის 50%-ზე მეტი რუსეთთან მიერთების მომხრე გახდება. ე.წ. რეფერენდუმს ჩაატარებენ და აფხაზების ამბავი დამთავრებულია.

იმისათვის, რომ ამ დაპირისპირებაში აფხაზებს შიგნით მომხრე არ ჰყავდეს, გალის რაიონის ქართველობის წინააღმდეგ რუსეთი შუასაუკუნეობრივ, ბნელ, მოღალატურ პოლიტიკას ახორციელებს. მოღალატე სეპარატისტების ხელით აფხაზებთან აპირისპირებენ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ქართველები აფხაზებს რომ გვერდით არ დაუდგნენ.

***– ამბობთ, აფხაზურ პარლამენტში რუსები არ არიანო. აფხაზურ პარლამენტში ქართველები არიან?***

– ქართველები რომ არ არიან, გასაგებია, ქართველები კანონგარეშე არიან გამოცხადებული, მაგრამ რუსები ხომ ძმები არიან. ამ დროს მათ კლავენ, ბინებს და ბიზნესს ართმევენ, პარლამენტში არ შეჰყავთ. თუმცა, თავიანთი საზოგადოება ჩამოაყალიბეს, რომ უფრო ორგანიზებულები იყვნენ, თავიანთი უფლებები დაიცვან. მათ განცხადება გააკეთეს და რუსი ბიზნესმენების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები დაგმეს.

***– ბატონო ჯემალ, როგორ მოგეწონათ ახალქალაქში ყარაბაღში მებრძოლი სომეხი მოქალაქის ძეგლის დადგმა?***

– დაუშვებელია ასეთი ძეგლების დადგმა. დიდი იმედი მაქვს, სანამ რაღაც დიდი კონფლიქტი არ მოხდება, ეს ძეგლი უნდა აიღონ. იმედი მაქვს, სომხები გაიგებენ, რომ ამ ძეგლის იქ ყოფნა ყოვლად დაუშვებელია და აიღებენ. სომხებმაც ძალიან კარგად უნდა გაიგონ (ყველამ კარგად უნდა გაიგოს), რომ იმ ძეგლის იქ დატოვება არ შეიძლება. ეს არის დიდი პროვოკაცია, რომელმაც შემდგომში შეიძლება ძალიან დიდი პროცესები გამოიწვიოს, რაც ჩვენთვის არასასურველია.

# გივი თარგამაძე: „შავი სკაროსის ხაზეინი ხაზარაძეს ფეხებს ვერ მოჭამს“



ყოფილი დეპუტატი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე სოციალური ქსელში თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე პოსტს აქვეყნებს.

– კვირიკაშვილის გაპარტახება-გათავისუფლებისთანავე შეიქნა მოლოდინი, ეგზეკუცია რა ფორმას შეარჩევს სულთამხუთავი – გუნდის მოშთობით დაკმაყოფილდება თუ ხაზარაძის სრულ განადგურებას გადაწყვეტს.

დღეს კითხვა აღარ არსებობს, ანაკლიის პროექტს სახელმწიფო მხარდაჭერა მთლიანად გამოაცალეს, ახლადდაანონსებული ფოთის პორტის და ბათუმის ტერმინალის პროექტები ამ მხარდაჭერით სრულად აღჭურვეს, თიბისი ბანკი ეროვნული ბანკით მიაზონდერეს, პროკურატურის ხელით პირადად ხაზარაძე საერთაშორისო მასშტაბით გააშავეს.

შესაბამისად, აწი ყოველივე მოქმედებაზეა დამოკიდებული. თუკი ბატონი ხაზარაძე მისი განცხადების სულისკვეთების ერთგული იქნება მოქმედებაშიც, შავი სკაროსის ხაზეინი მას, მომენტისთვის შესაფერისად, უხეშად თუ ვიტყვით, ფეხებს ვერ მოჭამს.

ამისათვის აუცილებელია მოქმედების საჯარო სივრცეში გადმოტანა. გლუვთან დახურულად თამაშში ყველა ორთაბრძოლა წინასწარ წაგებულია, რადგანაც თამაშობ მის მოედანზე, სადაც მსაჯიც მისია და კომისარიც. საჯარო სივრცე საზოგადოების მოედანია, სადაც გლუვს თამაში უჭირს კი არა, არ შეუძლია და სადაც ის საბოლოოდ დამარცხდება.

ამდენად, თიბისი ბანკის თითქმის ათიათასამდე თანამშრომელმა, ისევე, როგორც საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა მხარდაჭერა უნდა აღუთქვას ბატონ ხაზარაძეს საჯარო ბრძოლაში და ისიც უნდა შეახსენოს, რომ დღეს მათი ბედი მის მოქმედებაზეა დამოკიდებული, – აქვეყნებს საკუთარ პოზიციას სოციალურ ქსელში გივი თარგამაძე.

თაიმერი

# ზურაბ გურული: „კვალიფიციური ექიმების დეფიციტი მთელ მსოფლიოშია“

## „სოკოებივით იხსნება ახალ-ახალი კლინიკები, რომლებიც საეჭვო რეპუტაციის თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული“

ლელა მდივანი

**სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, პაციენტთათვის გაწეულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული 2018 წლის მუშაობის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, 348 ექიმის შესახებ 162 საკითხი განიხილეს. შედეგად, როგორც ანგარიშშია აღნიშნული: 342 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისრა, 235 ექიმს „წერილობითი გაფრთხილება“ მიეცა, 105-ს საქმიანობა შეუჩერდა, ხოლო 2 ექიმს სახელმწიფო სერტიფიკატი გაუუქმდა.**

მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი და მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიოლოგიისა და ქირურგიის დეპარტამენტების ხელმძღვანელი ზურაბ გურული მიიჩნევს, რომ ქართული სტატისტიკა, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ სტატისტიკურ მონაცემებს, მეტ-ნაკლებად ადეკვატურად შეესაბამება, თუმცა, მისივე თქმით, ქართული სამედიცინო შეცდომების ზუსტი ანალიზის გაკეთება ამ მონაცემებით არ შეიძლება.

***— ბატონო ზურაბ, დაახლოებით ერთი თვის წინ, მამაკაცს, რომელსაც საქართველოში სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, საფრანგეთში ეს დაავადება არ დაუდგინდა. თქვენ პრაქტიკაში ყოფილა ასეთი შემთხვევები, რომ აქ დადგენილი მძიმე დიაგნოზი უცხოეთში არ დადასტურებულა?***

— დიახ, ყოფილა ჩემს პრაქტიკაში რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მძიმე დიაგნოზი არ დადასტურებულა და პაციენტს საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა შეცდომით. გასაგები მიზეზების გამო მე არ შემიძლია ვისაუბრო ჩემი კლინიკის შეცდომებზე, მაგრამ შემიძლია,მაგალითად მოვიყვანო პრესაში გამოქვეყნებული მასალები. მაგალითად, ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ბაპტისტების სამედიცინო ცენტრის კლინიკაში 2018 წლის აპრილში გამოავლინეს პათანატომიური ლაბორატორიის შეცდომის 10 შემთხვევა, რომელთა გამო პაციენტებს ჩაუტარდათ არასაჭირო მძიმე ოპერაციები, რადიაციული და ქიმიოთერაპია; მათ შორის ერთ-ერთს, სრულიად ჯანმრთელ ახალგაზრდა ქალს ორმხრივი მასტექტომია, მკერდის კიბოს შეცდომით დიაგნოსტირების გამო. ამჟამად ამ ჰოსპიტალში სერიოზული გამოძიება მიმდინარეობს და სამედიცინო კორპორაციას მილიონობით დოლარის გადახდა მოუწევს დაზარალებულებისათვის.



„რაც უფრო მკაცრია შეცდომების გამო ექიმების დასჯა, მით უფრო დიდია განზრახ მიჩქმალული სახიფათო შეცდომების წილი“

საუბედუროდ, ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კლინიკის, ჯონს ჰოპკინსის საავადმყოფოს მიერ ჩატარებული კვლევებით მიღებული ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილიანობის მიზეზებს შორის სამედიცინო შეცდომები მესამე ადგილზე დგას გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და სიმსივნეების შემდეგ. საშუალოდ 250 ათასამდე ადამიანი იღუპება ყოველწლიურად ასეთი შეცდომების გამო. შესაბამისად, თქვენ მიერ მოყვანილი სამწუხარო მაგალითი არ წარმოადგენს მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელ პრობლემას და ქართული სტატისტიკა მეტ-ნაკლებად ადეკვატურად შეესაბამება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ სტატისტიკურ მონაცემებს.

***— როგორ გგონიათ, ძირითადად მსგავსი შემთხვევების მიზეზი რა არის ხოლმე, უცოდინრობა თუ გულგრილობა ექიმის მხრიდან?***

— სამედიცინო შეცდომებს მრავალი მიზეზი აქვთ და არაკორექტული იქნება მათი დაყვანა მხოლოდ ექიმის გულგრილობასა და ცოდნის დეფიციტზე; თუმცა ამ ფაქტორებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მცდარ დიაგნოსტიკაში. არ არსებობს უშეცდომო ადამიანი, შესაბამისად ვერ იარსებებს უშეცდომო ექიმიც. აბსოლუტურად ყველა ექიმი უშვებს არაერთ შეცდომას საკუთარი კარიერის მანძილზე. საბედნიეროდ, ამ შეცდომების აბსოლუტური უმრავლესობა ადვილად გამოსწორებადია. იქ, სადაც ადამიანური ფაქტორი დომინირებს, ყოველთვის იქნება შეცდომა. ამასთან, ერთგვარი პარადოქსია ისიც, რომ რაც უფრო მკაცრია შეცდომების გამო დასჯა, მით უფრო დიდია განზრახ მიჩქმალული სახიფათო შეცდომების წილიც, რაც ძალიან უშლის ხელს ასეთი სავალალო შემთხვევების მაქსიმალურ პრევენციას.

***— როგორც ჩანს, კარგი სპეციალისტების დეფიციტი მხოლოდ ჩვენთან არ არის.***

— დიახ, კარგი სპეციალისტების დეფიციტი არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოშია. მედიცინა მეცნიერებისა და ხელოვნების ურთულესი დარგია და გამორჩეული ექიმები ყოველთვის უმცირესობაში არიან. გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სერიოზული დიაგნოზი დაუსვეს, ამერიკაშიც გულდასმით ეძებს შესაბამისი დარგის გამორჩეულ სპეციალისტს და ხშირად, თუკი მას ამის საშუალებას საკუთარი ფინანსები აძლევს, სხვა ქალაქებში და შტატებში მიემგზავრება სამკურნალოდ. შესაბამისად, საქართველოც ვერ იქნება გამონაკლისი და გამორჩეული პროფესიონალები ჩვენთანაც სანთლით არის მოსაძებნი.

***— იცით, საზოგადოებაში ექიმების მიმართ ნდობა დაკარგულია და ისეც ხდება ხოლმე, რომ როდესაც მიდიან ექიმთან და დიაგნოზს იგებენ, მნიშვნელობა არ აქვს, მძიმეს თუ მსუბუქს, მკურნალობის დაწყებამდე ამ დიაგნოზის სისწორეს მეორე, მესამე ექიმთან ამოწმებენ. ხდება ისეც, რომ ყველა ექიმი სხვადასხვა დიაგნოზს სვამს და პაციენტი დაბნეულია. ამ შემთხვევაში რა არის გამოსავალი ერთი რიგითი პაციენტისთვის?***

— სამწუხაროდ, იოლ გამოსავალს ვერ შემოგთავაზებთ. ცხადია, აუცილებელია პროფესიონალთა რანგირების ადეკვატური და აკურატული სისტემის შექმნა; ასევე აუცილებელია სადიაგნოსტიკო ლაბორატორიების გარკვეული კონტროლიც. სამწუხაროდ, საქართველოში ექიმები ადვილად ხელწამოსაკრავ სოციალურ ჯგუფად იქცა. ამას მრავალი მიზეზი აქვს და მათ შორის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკოსთა მიერ იაფფასიანი ქულების დაწერაა განრისხებული საზოგადოების დასამშვიდებლად. საქართველოს არ გააჩნია ჩამოყალიბებული სამედიცინო სისტემა; ძალიან სუსტია პროფილური სამედიცინო ასოციაციები, რომლებიც თავად უნდა აწარმოებდნენ საკუთარ დარგებში სერთიფიცირების მკაცრ პროცესს და თავადვე ნერგავდნენ პრაქტიკის სტანდარტებს. ამ ყველაფერზე ჩვენთან ზრუნავენ არაკომპეტენტური ჩინოვნიკებისა და პოლიტიკანების ჯგუფები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ არა საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებზე დაყრდნობით, არამედ საზოგადოების რეაქციებზე დაკვირვებით. შესაბამისად, შეუძლებელია ექიმთა რანგირების ობიექტური სისტემის შექმნა.

სოკოებივით იხსნება ახალ-ახალი კლინიკები, რომლებიც დაკომპლექტებულია საეჭვო რეპუტაციის თანამშრომლებით, რადგან ე.წ. „ბიზნესმენები“ თვლიან, რომ სამედიცინო სექტორი მომგებიანი სფეროა და წარმატების მთავარ ფაქტორად კლინიკების ტექნიკურად აღჭურვა მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ არის საზოგადოება დაბნეული და ვერ ახერხებს კვალიფიციური სპეციალისტების ადეკვატურ მოძებნას. ნდობა ექიმის მიმართ არ არსებობს და მათ დიაგნოზს გამუდმებით ამოწმებენ. არადა, უმრავლეს შემთხვევაში ეს დიაგნოზი მართებულია. სერიოზული დიაგნოზი კი არა მარტო საქართველოში, არამედ ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში უნდა გადაამოწმო, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც პაციენტს ალოგიკურად ეჩვენება ექიმის მიერ მოყვანილი არგუმენტები.

***— შეიძლება ითქვას, რომ უკვე ერთგვარ ტენდენციადაც ჩამოყალიბდა არასწორი დიაგნოზის დასმა?***

— საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და, შესაბამისად, შეცდომის ყოველი ფაქტი ძალიან მკვეთრად ჩანს; მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევებზე ერთნაირად „ნადირობენ“ როგორც პოლიტიკოსები, ასევე მედია. ამჟამად საქართველოში არაერთი საერთაშორისო კლასის სპეციალისტი მოღვაწეობს წარმატებით; მათ შორის უცხოეთში წვრთნა გავლილი პროფესიონალები. სამწუხაროდ, მხოლოდ ამ სტატისტიკური მონაცემებით მე არ შემიძლია ქართული სამედიცინო შეცდომების ზუსტი ანალიზის გაკეთება და ამიტომ თავს ვერ მივცემ უფლებას, რომ რაიმე გადაჭრით ვამტკიცო.



***— უცხოეთში ძირითადად რა სახელდება ხოლმე ასეთი შემთხვევების მიზეზად?***

— ჯონს ჰოპკინსის კლინიკამ სპეციალური კვლევა ჩაატარა იმისათვის, რომ გამოევლინა სამედიცინო შეცდომების ძირითადი მიზეზები. კვლევის შედეგების ანალიზის შემდეგ მათ შეძლეს 8 ძირითადი ფაქტორის გამოვლენა:

1. არაადეკვატური კომუნიკაცია როგორც სამედიცინო პერსონალს, ასევე ექიმსა და პაციენტს შორის;

2. მკვეთრი გადახვევა არსებული სამედიცინო სტანდარტებიდან; არაადეკვატური დოკუმენტაცია და პროცედურული თანამიმდევრობა, ანუ ე.წ. ადამიანური ფაქტორი;

3. პაციენტთან დაკავშირებული პრობლემები. მათი არასწორი იდენტიფიცირება და ინფორმირება;

4. კლინიკების თანამშრომელთა არასრულყოფილი პროფესიული მომზადება:

5. სამუშაოთი უზომოდ გადატვირთული ექიმები;

6. ტექნიკური ინვენტარის არასრულყოფილება;

7. არასრულყოფილი სამედიცინო გზამკვლევები, ადგილობრივი პროტოკოლები.

***— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს ჯანდაცვის სისტემაში იმისთვის, რომ ეს სტანდარტები იყოს დაცული, რომ მსგავსი შედეგების წინაშე არ დავდგეთ.***

— ჯანდაცვის სისტემაში უპირველესად უნდა გაკეთდეს ის, რომ შეიქმნას თავად ეს სისტემა. ქართული ე.წ. სისტემა რეალურად არის უსისტემო, ამორფული ქაოსი, რომელსაც არ გააჩნია არც ჩამოყალიბებული დოქტრინა, არც შორს მიმავალი გეგმები და წარმოადგენს მლიქვნელი, მედროვე პოლიტიკანების სამანიპულაციო სფეროს.

***— თქვენი დაკვირვებით, რა არის მთავარი ხარვეზი, რაც ჯანდაცვის სისტემაში არსებობს?***

— ყველაზე მთავარი ხარვეზი, რაც გამოსასწორებელია, არის ის, რომ საქართველოს სამედიცინო სკოლების გამორჩეულ, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას სერიოზული ბაზისი იმისათვის, რომ მათ ქვეყანა არ დატოვონ და სამშობლოში გააგრძელონ მოღვაწეობა. ქართული სამედიცინო ინტელექტის მკვეთრი გადინება საზღვარგარეთ და მათ მიერ სპეციალობის შეცვლა, რათა საარსებო მინიმუმის მოპოვება მოახერხონ, არის ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც საფუძვლიდანვე ანგრევს ქართულ ჯანდაცვას და, შესაბამისად, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. საოცრად სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ რეზიდენტურაში მყოფი ახალგაზრდა ექიმები თავად იხდიან სწავლის საფასურს, იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ სრულად დააფინანსოს ეს სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი დარგი. ექიმთა ახალგაზრდა თაობაში დამკვიდრებული სრული ნიჰილიზმი და სასოწარკვეთა ხდება სწორედ დანაშაულებრივი გულგრილობისა და სისასტიკის მთავარი წანამძღვარი.

***— რისი დანერგვა შეიძლება ამ ვითარების მოსაგვარებლად და ყველაზე მეტად რა არ მოდის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში? ვთქვათ, საჭირო ხომ არ არის მკაცრი რეგულაცია გატარდეს რეზიდენტების მისაღებად და უფრო მაღალი კრიტერიუმები დაწესდეს მათ შესაფასებლად?***

— სანამ სამედიცინო განათლების უაზრო გამკაცრებას დავიწყებთ, მანამ მოსაგვარებელია გამორჩეული სტუდენტებისა და რეზიდენტების ადეკვატური დასაქმებისა და ანაზღაურების საკითხები. სამედიცინო განათლება ისედაც ყველაზე ხანგრძლივია სხვა სპეციალობებთან შედარებით და თუ ამ დარგის მუშაკებს ადეკვატური შემოსავალი არ ექნებათ, ქართული სამედიცინო სკოლების ელიტა მთლიანად საზღვარგარეთს მიაშურებს და მიაშურებს უკანმოუხედავად, აქედან გამომდინარე ყველა ლოგიკური შედეგით.

***— როგორ ფიქრობთ, უცხოეთთან შედარებით, ჩვენთან უფრო მარტივად ხომ არ ხდებიან ექიმები? უფრო ნაკლები ძალისხმევის გარეშე?***

— არა, არ მიმაჩნია. ქართული სამედიცინო სკოლების გამორჩეული სტუდენტები უმკაცრეს რეჟიმში ეუფლებიან თავიანთ სპეციალობას უნივერსიტეტებში. პრობლემა იწყება უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ; მაშინ როდესაც ახალგაზრდა რეზიდენტებმა კლინიკური გამოცდილება უნდა შეიძინონ კარგად ჩამოყალიბებულ პროგრამებში. ამჟამად კი რეზიდენტებს, რომელთა საშუალო ასაკი 25-26 წელია და რომელთა 75% უკვე დაოჯახებულია, ელემენტარული საარსებო პირობების უზრუნველყოფაც არ შეუძლიათ საკუთარი შემოსავლით. უფრო სწორად, მათ არ გააჩნიათ შემოსავალი, მათ აქვთ მხოლოდ გასავალი და სახელმწიფოსა და კერძო კლინიკებს იქეთ უხდიან თანხას, რათა კლინიკური წვრთნა გაიარონ. სწორედ აქედან იწყება ქართული ჯანდაცვის (და ქართული სახელმწიფოსიც) ძირითადი ტრაგედია. ქართველ ახალგაზრდა ექიმებს ბევრად უფრო დაუნდობელ პირობებში უწევთ სწავლა და მუშაობა, ვიდრე მათ უცხოელ თანატოლებს. ჩვენ, საზოგადოება, დუმილით შევცქერით საკუთარი მთავრობის მიერ ახალგაზრდა ექიმების მიმართ გამოვლენილ დანაშაულებრივ გულგრილობას და შემდეგ, ამ გულგრილობის შედეგად მიღებული შეცდომების გამო ჯვარზე ვაკრავთ არა დამნაშავეებს, არამედ მსხვერპლს.

**ჯონს ჰოპკინსის კლინიკამ სპეციალური კვლევა ჩაატარა იმისათვის, რომ გამოევლინა სამედიცინო შეცდომების ძირითადი მიზეზები. კვლევის შედეგების ანალიზის შემდეგ მათ შეძლეს 8 ძირითადი ფაქტორის გამოვლენა:**

**1. არაადეკვატური კომუნიკაცია როგორც სამედიცინო პერსონალს, ასევე ექიმსა და პაციენტს შორის;**

**2. მკვეთრი გადახვევა არსებული სამედიცინო სტანდარტებიდან; არაადეკვატური დოკუმენტაცია და პროცედურული თანამიმდევრობა, ანუ ე.წ. ადამიანური ფაქტორი;**

**3. პაციენტთან დაკავშირებული პრობლემები. მათი არასწორი იდენტიფიცირება და ინფორმირება;**

**4. კლინიკების თანამშრომელთა არასრულყოფილი პროფესიული მომზადება:**

**5. სამუშაოთი უზომოდ გადატვირთული ექიმები;**

**6. ტექნიკური ინვენტარის არასრულყოფილება;**

**7. არასრულყოფილი სამედიცინო გზამკვლევები, ადგილობრივი**

# „ოთახში შევედი და ბავშვის გვერდით საწოლზე მამაკაცი დავინახე“



8 წლის გოგონასთან გარყვნილი ქმედების ფაქტზე პოლიციამ გამოძიება მშობლის მიმართვის საფუძველზე დაიწყო.

გოგონას დედის განცხადებით, შემთხვევა 2 თებერვალს ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიაზე ერთ-ერთ საოჯახო ტიპის სასტუმროში მოხდა.

დედა აღნიშნულ სასტუმროში მუშაობდა და გოგონას იქ ხშირად ტოვებდა. მას შემდეგ, რაც სასტუმროში გარყვნილი ქმედების ორ საეჭვო ფაქტს თავად შეესწრო, ეჭვი საკუთარ შვილთან ჩადენილ იგივე ქმედებაზეც მიიტანა. 8 წლის გოგონა გამოკითხვის შემდეგ კი დარწმუნდა და დახმარებისთვის სამართალდამცავებს მიმართა.

— ბავშვმა აღიარა და თქვა, რასაც ვეჭვობდი. თავდაპირველად ბავშვი მემალებოდა და განმარტოვდა, თავს მარიდებდა. ერთხელ დავაფიქსირე, რომ ოთახში შევედი და ბავშვის გვერდით საწოლზე ვნახე ეს მამაკაცი და განვუცხადე, რა უნდოდა ჩემი შვილის გვერდით.

დავინახე, ბავშვთან მიახლოებული იყო და ხელის უცებ გამოწევამ დამაეჭვა. ბავშვს რეაქცია არ ჰქონდა,

### 8 წლის გოგონაზე გარყვნილ ქმედებაში სავარაუდო დამნაშავე უცხო ქვეყნის მოქალაქეა

მამაკაცს ვუთხარი, ოთახი დაეტოვებინა. ბავშვს ეუბნებოდა, რომ არ ეთქვა. მყავდა ფსიქოლოგთან და ჩართულია ყველა მხარე. მიმდინარეობს გამოძიება. ვითხოვ მამაკაცის დასჯას, — აცხადებს 8 წლის გოგონას დედა.

გარყვნილ ქმედებაში სავარაუდო დამნაშავე 30 წლის მამაკაცი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. იგი ამ დრომდე სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ.

საქმეში ჩართული არიან სოციალური სააგენტო და სახალხო დამცველის აპარატი. უწყებები ფსიქოლოგისა და ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

აჭარაში, 8 წლის გოგოზე გარყვნილ ქმედებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 141-ე მუხლით დაიწყო, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

**პრაიმტაიმი**

# გიორგი არევაძეს 20.000 ლარიანი გირაო შეეფარდა



რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ქეთინო ლუაშვილის გადაწყვეტილებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს, გიორგი არევაძეს, აღკვეთის ღონისძიების სახედ 20.000 ლარიანი გირაო შეეფარდა.

მოსამართლის განჩინებით, გირაოს თანხის გადახდა 14 დღის ვადაში უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რის შემდეგაც არევაძე პატიმრობიდან გათავისუფლდება, მანამდე კი ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დარჩება.

ბრალდების მხარე გიორგი არევაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.

გიორგი არევაძე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 14 თებერვალს დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა გიორგი არევაძემ, შპს „ხიდისყური-2000“-ის ყოფილი საიჯარო მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლება განიზრახა. კერძოდ, მისი დავალებით, შპს „ხიდისყური-2000“-ის დირექტორი ჯ. მ. მუნიციპალიტეტს უბრუნებდა იჯარით მიღებულ ნაკვეთებს, შემდეგ კი მიწები სპეციალური აუქციონის საშუალებით გასხვისდებოდა.

მისივე ინფორმაციით, გიორგი არევაძის ორგანიზებით, მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების მიზნით, 2006 წლის 28 აპრილს დამზადდა სანოტარო წესით დამოწმებული ფიქტიური მინდობილობები, რომელთა მიხედვით, თითქოს მიწის მესაკუთრეები ნაკვეთების გასხვისების უფლებას ანიჭებდნენ ქალაქ თბილისში მცხოვრებ პირებს. აღნიშნულ დოკუმენტებზე მინდობილობის გამცემი პირების ხელმოწერები კი გაყალბებულია.

მთლიანობაში, გიორგი არევაძე თაღლითურად დაეუფლა 44,73 ჰა მიწის ნაკვეთს, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, 102,5 ჰა მიწის ნაკვეთის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 -დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გიორგი არევაძეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა 2004-2007 წლებში ეკავა, მანამდე კი ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე იყო.

# მარნეულში საჯარო მოხელე ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს

მარნეულის მუნიციპალიტეტის ყულარის ადმინისტრაციული ერთეუ-




ლის სპეციალისტი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის გამო დააკავეს.

მარნეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს, ისევე, როგორც ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის მერის რწმუნებული აბიდ ოსმანოვი.

როგორც რადიო „მარნეულს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში უთხრეს, 14 თებერვალს მარნეულში ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის ბრალდებით ერთი პირი ნამდვილად დააკავეს, მაგრამ მის ვინაობას არ ამხელენ.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაკავებული პირი ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის ერთ-ერთი სპეციალისტია, რადიო „მარნეულს“ სანდო წყარომ მიაწოდა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

# შარტავაზე მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და დაიღუპა

შარტავას ქუჩაზე მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა. 40 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

„კურიერის“ ინფორმაციით, მამაკაცი ლიფტის შახტში ჩავარდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# რა მოხდა კრისტალბეთში

## გამოძიება მილიონობით განაღდებული ლარის საქმეს სწავლობს

საფინანსო პოლიცია კრისტალბეთის და მისი მომხმარებლების საქმეს იძიებს. კომპანიის მიერ გამოცხადებული აქციის ფარგლებში რამდენიმე ადამიანმა დიდი თანხა მოიგო და გაანაღდა, მათი მოგებით კი პოლიცია დაინტერესდა.

კრისტალბეთის მრავალმა მომხმარებელმა ონლაინ თამაშში უფასო დატრიალება და უფასო ფული მოიგო. მოგებული თანხა საბანკო ანგარიშებზე გადაირიცხა, საერთო ჯამში, კი ამ გზით 4 მილიონამდე ლარია განაღდებული.

ონლაინ კაზინოს მოთამაშე მამაკაცი ჰყვება, რომ დეკემბრის ბოლოს კრისტალბეთს აქცია ჰქონდა, ტოტალიზატორზე გარკვეული თანხის დადების შემთხვევაში ბონუსად უფასო დატრიალების უფლება ჰქონდა.

თამაშის დროს მომხმარებელმა აღმოაჩინეს, რომ ლიმიტები საიტზე დაწესებული არ იყო და უფასოდ განუსაზღვრელი რაოდენობის სვლის გამოყენება შეეძლოთ.

საიტის ხარვეზის გამო კრისტალბეთის მომხმარებლებს 10 დღის განმავლობაში შეეძლოთ, გაუჩერებლად ეთამაშათ. ერთჯერადად, თითო მოთამაშეს 5.000 ლარის განაღდება




შეეძლო.

საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს. გამოძიება რამდენიმე მუხლით მიმდინარეობს, მათ შორის, სხვის კომპიუტერში უნებართვოდ შეღწევისა და ჰაკერული თავდასხმისთვის.

დიდი ოდენობით განაღდებული თანხის გამო დაზარალდა 2 ბანკიც — „თიბისი“ და „ლიბერთი“.

4 იანვარს „თიბისი ბანკმა“ მომხმარებლების ნაწილს მოგებული თანხა გაუნულა და ვისაც უკვე მოგება განაღდებული ჰქონდა, მათ ანგარიშებს უფასო ყადაღა დაადო.

მილიონობით მოგებული და განაღდებული ლარის საქმეზე კომენტარს არც ერთი ბანკი არ აკეთებს, მიზეზი გამოძიების ინტერესებია. კრისტალბეთის იურისტი ამბობს, რომ საიტს პრობლემა ჰქონდა და ჰაკერული შეტევა არ მომხდარა.

# ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ელმავალმშენებელ ქარხანაში შევიდა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სს „ელმავალმშენებელის“ ხელმძღვანელი პირების მხრიდან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საზოგადოების კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების შესაძლო გაფლანგვის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, საგამოძიებო პროცესი 2019 წლის 24 იანვარს დაიწყო.

„გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით. გამოძიების ფარგლებში, სასამართლო განჩინებების საფუძველზე სს „ელმავალმშენებელი“-დან ამოღებულია 2017-2019 წლების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია და ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. ამოღებულ დოკუმენტებზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დანიშნულია და მიმდინარეობს თემატური რევიზია.

გამოძიების დაწყებამდე, შემოსავლების სამსახურის მიერ, მიმდინარეობდა სს „ელმავალმშენებელის“ 2016-2019 წლების პერიოდის საგადასახადო შემოწმება და ინვენტარიზაცია, რომელიც ამჟამადაც გრძელდება“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ელმავალმშენებელი ქარხნის დასაქმებულებმა კოლექტიური შრომის დავა დაიწყეს. პროფკავშირების ინფორმაციით, თანამშრომლები 6 თვის სახელფასო დავალიანებას და შრომითი პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. მათი განცხადებით, უმეტესობას კუთვნილი ანაზღაურება რამდენიმე თვეა, არ აუღია.

# მამათში სიძე-პატარძალს ქორწილის ღამეს საწოლი მოპარეს




ქურდობა მოხდა მამათში — სიძე-პატარძალი ქორწილის ღამეს საწოლის გარეშე დარჩა.

როგორც „გურიის მოამბისთვის“ გახდა ცნობილი, ქორწილის დღეს მასპინძელი ოჯახი ისე გაქურდეს, რომ რესტორნიდან უკან დაბრუნებულ სიძე-პატარძალს არც საწოლი დახვდათ და არც ქვეშაგები.

შემთხვევა გასულ კვირას მოხდა.

მამათელმა ახალგაზრდა კაცმა ცოლად ძიმითელი ქალი ითხოვა და ფაქტობრივად ორი სოფელი ლანჩხუთში, ერთ-ერთ რესტორანში ქეიფობდა.

ლხინის სუფრიდან უკან დაბრუნებულებს სიძის ოჯახი ისე დახვდათ გაქურდული, რომ სახლში ვეღარც ჩანგალი იპოვეს, ვერც ალუმინის თასები და ვერც საწოლი.

მომხდარის შესახებ „გურიის მოამბეს“ ერთ-ერთმა ადგილობრივმა უთხრა:

— მე სიძის მეზობლად ვცხოვრობ. ქორწილი რომ დამთავრდა, ქვაბებით წამოვიღეთ რესტორნიდან საჭმელები, როგორც ხდება ხოლმე. დატრიალდა ოჯახი სუფრის სახლში გასაწყობად და სადაა ან ჩანგალი, ან თეფში, არ რამე.

სიძე-პატარძლის საწოლი და ქვეშაგებიც კი მოპარული იყო. დაცარიელებული დაგხვდა სახლი. სიძე იძახდა, სად დავწვე ახლა მეო?! მეზობლებმა დავტრიალდით მერე, ზოგმა საბანი მოვუტანეთ, ზოგმა ლეიბი და თეფში, — მოყვა მეზობელი

# თბილისში 20 წლის ქალმა თავი მოიკლა — „დედასთან ცხოვრობდა. დედა ქმარს იყო დაშორებული. რაღაც წამლებს სვამდა“




თბილისში წალენჯიხის რაიონ დაბა ჯვარის მცხოვრებმა 20 წლის ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ინფორმაციას ადასტურებს მერის წარმომადგენელი დაბა ჯვარში სტავრო ჭანტურია.

— დღის მეორე ნახევარში გავიგეთ ეს სამწუხარო ამბავი. 1 წელიწადზე მეტია, გოგონა დედასთან ცხოვრობდა. დედა ქმარს იყო დაშორებული. რაღაც წამლებს სვამდა.. ეტყობა ზედმეტი მოუვიდა, — თქვა რწმუნებულმა.

მისივე ინფორმაციით, ჯერჯერობით უცნობია, გოგონას ცხედარს სოფელ ეწერში ჩამოასვენებენ, თუ თბილისში დაკრძალავენ.

**ოდიში ნიუსი**

## ტრამპმა, შესაძლოა, საგანგებო მდგომარეობა შემოიღოს



თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ტრამპმა, შესაძლოა, აშშ-ში საგანგებო მდგომარეობა შემოიღოს. ტრამპი ფიქრობს, რომ აშშ-მექსიკის საზღვარზე კედელი უნდა აშენდეს.

— ტრამპი თავის წინასაარჩევნო დაპირებას შეასრულებს და საზღვარზე კედელს ააშენებს, — განაცხადა სანდერსმა.

## აშშ-ის ახალი გენერალური პროკურორი უილიამ ბარი გახდა



აშშ-ის სენატმა ხმების მცირე უმრავლესობით ახალი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე უილიამ ბარი დაამტკიცა.

ბარი ამ პოსტზე დონალდ ტრამპმა წარადგინა.

## ბელგიის კონტრდაზვერვის თანამშრომლები რუსეთის ჯაშუშები აღმოჩნდნენ

ბელგიის კონტრდაზვერვის ორი თანამშრომელი დააკავეს. მათ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა ედებათ ბრალად.

ერთ-ერთი დაკავებულის გვარი ვანდენბორეა. ის კონტრდაზვერვაში ორმოცი წლის განმავლობაში მსახურობდა. მეორის გვარი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ სახელდება. ოფიციალურ შეტყობინებაში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ მაიორის ჩინი აქვს.

კონტრდაზვერვის ორივე თანამშრომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლაში დენის სერგეევიც მონაწილეობდა



დადგენილია მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლაში ეჭვმიტანილი მესამე პირის ვინაობა.

აქამდე მას ოპერატიული ფსევდონიმით, ფედოტოვით, მოიხსენიებდნენ. ფედოტოვს სინამდვილეში დენის სერგეევი ჰქვია.

სკრიპალების გარდა, ის ბულგარელი ბიზნესმენის მოწამვლაშიც არის ეჭვმიტანილი. ამ ბიზნესმენს უკრაინაში იარაღი შეჰქონდა.

სერგეევი გრუ-ს მაღალი რანგის ოფიცერია.

## ამერიკელმა სენატორებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტი შეიმუშავეს



აშშ-ში რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღებაზე დაფიქრდნენ. მათ მომზადებაზე როგორც რესპუბლიკური, ასევე დემოკრატიული პარტიის წევრები ერთად მუშაობდნენ.

ახალი სანქციები ითვალისწინებს დამსჯელ ღონისძიებებს რუსეთის ენერგეტიკაში, საბანკო სექტორში. მოსკოვს მართლაც სერიოზული დარტყმა მიადგება. მართალია, პუტინის თანაშემწე პესკოვმა განაცხადა, დამატებით სანქციებს გავუძლებთო, მაგრამ მის გამოსვლაში შეშფოთება ნათლად გამოსჭვიოდა.

პუტინის პოზიცია, ტრადიციულად, კვლავ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

— ამერიკელების სანქციების პასუხად ჩვენ მთელ მსოფლიოში იარაღით ვაჭრობა უნდა გავაფართოვოთ. რუსული რაკეტები მიეყიდება ყველას, ვინც ნაღდ ფულს გადაიხდის. პარალელურად უნდა განხორციელდეს ზომები რუსული არმიის სამხედრო- სამრეწველო კომპლექსის გასაძლიერებლად, — თქვა ვლადიმერ ვოლფოვიჩმა.

ზარალი, რომელიც დასავლეთის სანქციების შედეგად რუსეთმა განიცადა, უკვე ძალზე საგრძნობია. 2018 წელს რუსეთის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ 1% იყო. ასეთი მაჩვენებელი რუსეთს მხოლოდ 1945 წელს ჰქონდა.

ახალი სანქციები კრემლის გეგმებზე დიდ გავლენას იქონიებენ. უკრაინაში ინტერვენცია ალბათ არ მოხდება, მაგრამ მკვეთრად გააქტიურდება რუსული მეხუთე კოლონა, გაიზრდება პროვოკაციების რიცხვი.

მოსალოდნელია დივერსიები, საბოტაჟის აქტები, ტერორი როგორც ვენესუელაში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაშიც კი.

## ესპანეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 28 აპრილს გაიმართება

ესპანეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წლის 28 აპრილს გაიმართება. ამის შესახებ ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე პედრო სანჩესმა განაცხადა.

სიტყვით გამოსვლისას პედრო სანჩესმა განაცხადა, რომ ვინაიდან „პარლამენტმა არ მიიღო 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, მთავრობას ორი ვარიანტი ჰქონდა — წინა მთავრობის მიერ მიღებული ბიუჯეტი გადმოეტანა ან ვადამდელი არჩევნები დაენიშნა“.

— მე ინიციატივით გამოვედი, პარლამენტის დათხოვნა მოხდეს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 28 აპრილს დაინიშნოს, — განაცხადა პედრო სანჩესმა.

ესპანეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2020 წელს უნდა გამართულიყო.

## უკრაინა თავის არჩევნებზე რუს დამკვირვებლებს არ დაუშვებს

უკრაინის პარლამენტის სპიკერმა ანდრეი პარუბიიმ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ცოტა ხნის წინ უმაღლესმა რადამ მიიღო. მის თანახმად, უკრაინის არჩევნებზე რუსი დამკვირვებლების დაშვება იკრძალება.

კანონს მხარი 325-მა დეპუტატმა დაუჭირა.

— რუსეთი აგრესორია! მისი წარმომადგენლების არჩევნებზე დაშვება გამორიცხულია! — ამბობს პარუბიი.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ნატო შავ ზღვაში თავის გემებს აგზავნის



ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში რუსეთი აზოვის ზღვის ანექსიას კვლავაც შეეცდება. მოსალოდნელია პროვოკაციები შავ ზღვაზეც. სავარაუდოდ, მოსკოვი ხერსონის, ოდესისა და ნიკოლაევის პორტების ბლოკირებას შეეცდება.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რუსეთის ასეთ აგრესიას არ შეეგუება.

— ნატო უკრაინას მხარს უჭერს. ჩვენ შავ ზღვაზე ნატოს ხომალდებს გავაგზავნით. მოვიფიქრებთ, უკრაინელებს კიდევ რით დავეხმაროთ, — ამბობს სტოლტენბერგი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ევროპა ინგლისის გარეშეა




## სტატისტიკა, ფსონები

ინგლისში თასებია და ეროვნული ჩემპიონატისთვის არ სცალია. სამაგიეროდ, დანარჩენ 4 დიდ საფეხბურთო ქვეყანაში ჩვეულებრივი ტურია. გამორჩეული მატჩები? ისეთი არაფერი, აჟიოტაჟს რომ იწვევდეს, მაგრამ ამ ქვეყნებში ყველა თამაში საინტერესოა.

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 სელტა-ლევანტე | 1.83 | 3.8 | 4.2 |
| 16.02 რაიო-ატლეტიკო | 5.5 | 3.7 | 1.76 |
| 16.02 სოსიედადი-ლეგანესი | 2.1 | 3.1 | 4.0 |
| 16.02 ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1.15 | 8.0 | 19.0 |
| 17.02 რეალი-ხირონა | 1.18 | 7.5 | 15.0 |
| 17.02 ვალენსია-ესპანიოლი | 1.75 | 3.6 | 5.0 |
| 17.02 ვილიარეალი-სევილია | 2.5 | 3.5 | 2.75 |
| 17.02 ბეტისი-ალავესი | 1.78 | 3.5 | 5.0 |
| 18.02 უესკა-ბილბაო | 3.1 | 3.1 | 2.45 |

**სელტა-ლევანტე**

სელტა: ***ტრავმ***-ოკაი იოკუსლუ

ლევანტე: ***ტრავმ***-რუბენ როკინა, ტონო, ხოსე კამპანა, სერხიო პოშტიგო

**რაიო-ატლეტიკო**

რაიო: ***ტრავმ***-ბორხა ტრიეხო, გორკა ელუტონდო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ბორხა გარგესი, კოკე, შტეფან სავიჩი, დიეგო კოსტა

**სოსიედადი-ლეგანესი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ანდონი-გოროსაბელი

ლეგანესი: ***ტრავმ***-ალან ნიომი, ეზეკიელ მუნიოსი

**ბარსელონა-ვალიადოლიდი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხორდი ალბა, არტური, სამუელ უმტიტი, რაფინია

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ფერნანდო კალერო

**რეალი-ხირონა**

რეალი: ***ტრავმ***-ისკო, მარკოს ლორენტე

ხირონა: ***ტრავმ***-პედრო ალკალა, სეიდუ დუმბია, მარკ მუნიესა, პატრიკ ობერტსი, ადაი ბენიტესი

**ვალენსია-ესპანიოლი**

ვალენსია: ***ტრავმ***-მუხტარ დიახაბი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მარიო ჰერმოსო, ნალდო, ოსკარ დუარტე, ერნან პერესი

**ვილიარეალი-სევილია**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-ნოლიტო

**ბეტისი-ალავესი**

ბეტისი: ***ტრავმ***-აისა მანდი, კრისტიან ტელო

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

**უესკა-ბილბაო**

უესკა: ***ტრავმ***-გუჩო ერნანდესი, გონსალო მელერო, ლუიზინიო

ბილბაო: ***ტრავმ***-კაპა, პერუ ნოლასკოაინი, არიც ადურისი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 60-23 | 51 |
| 2.რეალი | 23 | 14 | 3 | 6 | 40-27 | 45 |
| 3.ატლეტიკო | 23 | 12 | 8 | 3 | 33-17 | 44 |
| 4.სევილია | 23 | 10 | 7 | 6 | 38-25 | 37 |
| 5.ხეტაფე | 23 | 9 | 8 | 6 | 28-19 | 35 |
| 6.ალავესი | 23 | 10 | 5 | 8 | 24-27 | 35 |
| 7.ბეტისი | 23 | 9 | 5 | 9 | 26-29 | 32 |
| 8.ვალენსია | 23 | 6 | 13 | 4 | 24-20 | 31 |
| 9.სოსიედადი | 23 | 8 | 7 | 8 | 27-25 | 31 |
| 10.ეიბარი | 23 | 7 | 9 | 7 | 31-32 | 30 |
| 11.ლეგანესი | 23 | 7 | 8 | 8 | 25-27 | 29 |
| 12.ესპანიოლი | 23 | 8 | 4 | 11 | 27-37 | 28 |
| 13.ბილბაო | 23 | 5 | 12 | 6 | 23-28 | 27 |
| 14.ლევანტე | 23 | 7 | 6 | 10 | 32-42 | 27 |
| 15.ვალიადოლიდი | 23 | 6 | 8 | 9 | 19-28 | 26 |
| 16.ხირონა | 23 | 5 | 9 | 9 | 23-33 | 24 |
| 17.სელტა | 23 | 6 | 6 | 11 | 35-39 | 24 |
| 18.რაიო | 23 | 6 | 5 | 12 | 27-40 | 23 |
| 19.ვილიარეალი | 23 | 3 | 11 | 9 | 23-31 | 20 |
| 20.უესკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-39 | 18 |

**გერმანია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 ვოლფსბურგი-მაინცი | 1.7 | 4.2 | 4.6 |
| 16.02 ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 1.3 | 5.8 | 9.5 |
| 16.02 შტუტგარტი-ლაიპციგი | 5.0 | 4.2 | 1.63 |
| 16.02 შალკე-ფრაიბურგი | 1.73 | 3.7 | 5.0 |
| 16.02 ჰერტა-ვერდერი | 2.4 | 3.4 | 3.0 |
| 17.02 აინტრახტი-გლადბახი | 2.35 | 3.6 | 2.9 |
| 17.02 ლევერკუზენი-ფორტუნა | 1.42 | 4.75 | 7.5 |
| 18.02 ნიურნბერგი-დორტმუნდი | 8.0 | 5.0 | 1.38 |

**ვოლფსბურგი-მაინცი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ადმირ მეჰმედი, დანიელ გინსეკი, იგნასიო კამაჩო

მაინცი: ***ტრავმ***-დანი ლატზა, ფილიპ მვენე

**ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კევინ ვოგტი, კასიმ ადამსი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-პირმინ შვეგლერი, ლინტონ მაინა, ნიკლას ფულკრუგი, იჰლას ბებოუ

**შტუტგარტი-ლაიპციგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარიო გომესი, დენის აოგო

ლაიპციგი: ***ტრავმ***-კევინ კამპი, იბრაჰიმ კომატე, დაიოტ იპამეკანო

**შალკე-ფრაიბურგი**

შალკე: ***ტრავმ***-ალესანდრო შოპფი, სტივენ სკრჟიბსკი, ბენჯამინ სტამბოლი, ბრეელ ემბოლო

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მანუელ გულდე, ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ ზალაი

**ჰერტა-ვერდერი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ვალენტინო ლაზარო, არნე მაიერი, ჟავაირო დილროსუნი, დერიკ ლუკასენი

ვერდერი: ***ტრავმ***-მარტინ ჰარნიკი

**აინტრახტი-გლადბახი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ აბრაჰამი, მარკ სტენდერა, მარკო ფაბიანი, ბრანიმირ ჰრგოტა, ლუკას ტორო

გლადბახი: ***ტრავმ***-რაფაელი

**ლევერკუზენი-ფორტუნა**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

ფორტუნა: ***ტრავმ***-დავორ ლოვრენო, მარსელ სობოტკა

**ნიურნბერგი-დორტმუნდი**

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ონდრეი პეტრაკი, ჯორჯ მარგრეიტერი, კევინ გოდენი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ტომას დელანეი, მანუელ აკანჯი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 15 | 5 | 1 | 54-23 | 50 |
| 2.ბაიერნი | 21 | 14 | 3 | 4 | 47-24 | 45 |
| 3.გლადბახი | 21 | 13 | 3 | 5 | 41-21 | 42 |
| 4.ლაიპციგი | 21 | 11 | 5 | 5 | 38-18 | 38 |
| 5.აინტრახტი | 21 | 9 | 6 | 6 | 40-27 | 33 |
| 6.ლევერკუზენი | 21 | 10 | 3 | 8 | 37-32 | 33 |
| 7.ვოლფსბურგი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-30 | 32 |
| 8.ჰერტა | 21 | 8 | 7 | 6 | 34-31 | 31 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 21 | 7 | 9 | 5 | 41-32 | 30 |
| 10.ვერდერი | 21 | 8 | 6 | 7 | 36-32 | 30 |
| 11.მაინცი | 21 | 7 | 6 | 8 | 23-33 | 27 |
| 12.ფორტუნა | 21 | 7 | 4 | 10 | 25-39 | 25 |
| 13.ფრაიბურგი | 21 | 5 | 8 | 8 | 29-37 | 23 |
| 14.შალკე | 21 | 6 | 4 | 11 | 25-32 | 22 |
| 15.აუგსბურგი | 21 | 4 | 6 | 11 | 29-37 | 18 |
| 16.შტუტგარტი | 21 | 4 | 3 | 14 | 17-47 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 21 | 3 | 5 | 13 | 20-44 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 21 | 2 | 6 | 13 | 17-46 | 12 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 კალიარი-პარმა | 2.0 | 3.4 | 3.9 |
| 16.02 ატალანტა-მილანი | 2.05 | 3.4 | 3.75 |
| 17.02 სპალი-ფიორენტინა | 3.5 | 3.1 | 2.25 |
| 17.02 ემპოლი-სასუოლო | 2.7 | 3.3 | 2.62 |
| 17.02 ჯენოა-ლაციო | 3.3 | 3.3 | 2.25 |
| 17.02 უდინეზე-კიევო | 1.8 | 3.4 | 5.0 |
| 17.02 ინტერი-სამპდორია | 1.57 | 3.9 | 6.0 |
| 17.02 ნაპოლი-ტორინო | 1.3 | 4.33 | 8.5 |
| 18.02 რომა-ბოლონია | 1.42 | 4.75 | 7.5 |

**კალიარი-პარმა**

კალიარი: ***ტრავმ***-ალბერტო ჩერი, რაგნარ კლავანი, ლუკას კასტრო

პარმა: ***ტრავმ***-ფეერიკო დიმარკო, ალბერტო გრასი

**ატალანტა-მილანი**

ატალანტა: ***ტრავმ***-ალი ადნანი

მილანი: ***ტრავმ***-კრსტიან ზაპატა, ჯაკომო ბონავენტურა

**სპალი-ფიორენტინა**

სპალი: ***ტრავმ***-ფელიპე, მოჰამედ ფარესი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-დუშან ვლაჰოვიჩი, ნიკოლა მილენკოვიჩი, მარკო ბენასი

**ემპოლი-სასუოლო**

ემპოლი: ***ტრავმ***-ლეონარდო კაპეზი, ანტონინო ლა გუმინა

სასუოლო: ***ტრავმ***-ალფრედ დანკანი, მარიონი

**ჯენოა-ლაციო**

ჯენოა: ***ტრავმ***-კრისტიან რომერო, ანდრეა ფავილი, ლუკა მაზიტელი, ოსკარ ჰოლემარკი

ლაციო: ***ტრავმ***-ჯორდან ლუკაკუ, ჩირო იმობილე, ლუის ალბერტო, მარკო პაროლო

**უდინეზე-კიევო**

უდინეზე: ***ტრავმ***-ანტონინ ბარაკი, სამირი

კიევო: ***ტრავმ***-სერხიო პელისიერი, ნენად ტომოვიჩი, სტრაჰინია ტანასიევიჩი

**ინტერი-სამპდორია**

ინტერი: ***ტრავმ***-ბორხა ვალერო, მატეო პოლიტანო, სიმე ვრსალკო

სამპდორია: ***ტრავმ***-ნიკოლა მურუ, ედგარ ბარეტო, ჯანლუკა კაპრანი

**ნაპოლი-ტორინო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-მარეკ ჰამშიკი, რაულ ალბიოლი

ტორინო: ***ტრავმ***-ნიკოლას ნკულუ, სიმონე ძაძა, ვიტორიო პარიგინი

**რომა-ბოლონია**

რომა: ***ტრავმ***-კოსტას მანოლასი, ჩინგიზ უნდერი, დიეგო პეროტი

ბოლონია: ***ტრავმ***-რიკარდო ორსოლინი, ორი ოკვონკვო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 23 | 20 | 3 | 0 | 49-15 | 63 |
| 2.ნაპოლი | 23 | 16 | 4 | 3 | 42-18 | 52 |
| 3.ინტერი | 23 | 13 | 4 | 6 | 32-16 | 43 |
| 4.მილანი | 23 | 10 | 9 | 4 | 32-21 | 39 |
| 5.ატალანტა | 23 | 11 | 5 | 7 | 50-31 | 38 |
| 6.რომა | 23 | 10 | 8 | 5 | 44-30 | 38 |
| 7.ლაციო | 23 | 11 | 5 | 7 | 32-25 | 38 |
| 8.ტორინო | 23 | 8 | 10 | 5 | 28-22 | 34 |
| 9.სამპდორია | 23 | 9 | 6 | 8 | 39-30 | 33 |
| 10.ფიორენტინა | 23 | 7 | 11 | 5 | 33-25 | 32 |
| 11.სასუოლო | 23 | 7 | 9 | 7 | 34-36 | 30 |
| 12.პარმა | 23 | 8 | 5 | 10 | 24-31 | 29 |
| 13.ჯენოა | 23 | 6 | 7 | 10 | 30-40 | 25 |
| 14.სპალი | 23 | 5 | 7 | 11 | 20-32 | 22 |
| 15.კალიარი | 23 | 4 | 9 | 10 | 19-34 | 21 |
| 16.უდინეზე | 23 | 4 | 7 | 12 | 18-31 | 19 |
| 17.ბოლონია | 23 | 3 | 9 | 11 | 18-35 | 18 |
| 18.ემპოლი | 23 | 4 | 6 | 13 | 27-45 | 18 |
| 19.ფროზინონე | 23 | 3 | 7 | 13 | 17-43 | 16 |
| 20.კიევო | 23 | 1 | 9 | 13 | 19-47 | 9 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.02 მარსელი-ამიენი | 1.4 | 4.5 | 8.5 |
| 16.02 ანჟე-ნიცა | 2.35 | 3.0 | 3.3 |
| 16.02 მონაკო-ნანტი | 1.73 | 3.75 | 4.6 |
| 17.02 ბორდო-ტულუზა | 1.85 | 3.25 | 4.75 |
| 17.02 კაენი-სტრასბური | 3.4 | 3.0 | 2.3 |
| 17.02 ლილი-მონპელიე | 1.88 | 3.3 | 4.5 |
| 17.02 რეიმსი-რენი | 2.4 | 3.0 | 3.2 |
| 17.02 სტ.ეტიენი-პსჟ | 5.0 | 4.2 | 1.61 |

**მარსელი-ამიენი**

მარსელი: ***ტრავმ***-ლუის გუსტავო, ფლორიან ტაუვინი, დიმიტრი პოიე, ადილ რამი

ამიენი: ***ტრავმ***-კვენტინ კორნე, ბონგანი ზუნგუ

**ანჟე-ნიცა**

ანჟე: ***ტრავმ***-პიერიკ კაპელე

ნიცა: ***ტრავმ***-დანილო, ჟან მაკენჯო, ისჰან საკო, მიშელ ლე ბიანი

**მონაკო-ნანტი**

მონაკო: ***ტრავმ***-ანდრეა რაგი, ნასერ ჩადლი, ჯორდი მბულა, სტევან იოვეტიჩი, პიეტრო პელეგრი

ნანტი: ***ტრავმ***-ფაბიო

**ბორდო-ტულუზა**

ბორდო: ***ტრავმ***-იან კარამო, სამუელ კალუ, იუსუფ საბალი

ტულუზა: ***ტრავმ***-ფრანსუა მუბანჯე

**კაენი-სტრასბური**

კაენი: ***ტრავმ***-ჯესი დემინგო, ენცო კრიველი, რომან გენევო

სტრასბური: ***ტრავმ***-ლიონელ კაროლე, იონას მარტინი, ჯერემი გრიმი, იდრის საადი

**ლილი-მონპელიე**

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარუ

მონპელიე: ***ტრავმ***-კიგან დოლი

**რეიმსი-რენი**

რეიმსი: ***ტრავმ***-პაბლო ჩავარია, კრისტიან კონანი, მუსა დუმბია

რენი: ***ტრავმ***-ლუდოვიკ ბაალი

**სტ.ეტიენი-პსჟ**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ვილიამ საბილა, ოლე სელნაესი, იან მვილა

პსჟ: ***ტრავმ***-ნეიმარი, ლასანა დიარა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 19 | 2 | 1 | 68-13 | 59 |
| 2.ლილი | 24 | 15 | 4 | 5 | 42-22 | 49 |
| 3.ლიონი | 24 | 12 | 7 | 5 | 38-27 | 43 |
| 4.სტ.ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 35-30 | 40 |
| 5.მონპელიე | 23 | 9 | 10 | 4 | 31-19 | 37 |
| 6.მარსელი | 24 | 11 | 4 | 9 | 38-34 | 37 |
| 7.ნიცა | 24 | 10 | 7 | 7 | 19-23 | 37 |
| 8.რენი | 24 | 10 | 6 | 8 | 34-31 | 36 |
| 9.სტრასბური | 24 | 9 | 8 | 7 | 40-29 | 35 |
| 10.რეიმსი | 24 | 8 | 11 | 5 | 21-22 | 35 |
| 11.ნიმი | 24 | 9 | 6 | 9 | 35-35 | 33 |
| 12.ანჟე | 24 | 7 | 9 | 8 | 26-28 | 30 |
| 13.ბორდო | 23 | 7 | 7 | 9 | 23-25 | 28 |
| 14.ნანტი | 24 | 7 | 6 | 11 | 30-33 | 27 |
| 15.ტულუზა | 24 | 6 | 9 | 9 | 23-34 | 27 |
| 16.ამიენი | 24 | 6 | 3 | 15 | 19-38 | 21 |
| 17.დიჟონი | 23 | 5 | 5 | 13 | 20-36 | 20 |
| 18.მონაკო | 24 | 4 | 7 | 13 | 23-41 | 19 |
| 19.კაენი | 24 | 3 | 9 | 12 | 20-33 | 18 |
| 20.გენგამი | 23 | 3 | 5 | 15 | 16-48 | 14 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლევან კობიაშვილი ქართულ საფეხბურთო სამყაროს 4 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს

სასტუმრო ჰუალინგმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 29-ე საარჩევნო ყრილობას უმასპინძლა, რომლის მუშაობაშიც 28 დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. ყრილობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი კიდევ 4 წლის ვადით ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიეს და აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა დაამტკიცეს.

საარჩევნო ყრილობას უეფას ვიცეპრეზიდენტი მიკელე უვო და ფიფას განვითარების პროგრამების კოორდინატორი ოლივერ იუნგი დაესწრნენ. მათ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და განვლილი პერიოდი დადებითად შეაფასეს.




**მიკელე უვა:**

– ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს ვესწრები. გამოვყოფდი უკანასკნელ სამ წელიწადს, რომლის განმავლობაში ფედერაციას ძალიან დიდი მიღწევები აქვს. ლევან კობიაშვილმა საკმაოდ საინტერესო ხედვა წარმოადგინა, რომელიც უეფას ღირებულებებს იზიარებს და სწორედ მათ შესაბამისად განხორციელდება. ჩემი აზრით, ეს ფეხბურთის განვითარებისათვის აუცილებელია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველ წელს იზრდება და ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ.

არჩევნების შედეგები შეაფასა **ლევან კობიაშვილმა:**

– უპირველესად, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო როგორც ყრილობის წევრებს, ასევე საზოგადოებას კიდევ ერთხელ გამოცხადებული ნდობისთვის. ეს ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ბუნებრივია, რომ ჩვენს გზას კვლავ გავაგრძელებთ... საკმაოდ დიდი გამოწვევები გვაქვს წინ და მე და ჩემი გუნდი მზად ვართ იმისათვის, რომ მივიღოთ ეს გამოწვევა. კიდევ უფრო მეტად მოტივირებული ვარ და თამამად ვიტყვი, რომ ჩემს შესაძლებლობებსა და რესურსს მთლიანად ფეხბურთში დავხარჯავ, რომელიც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთი ჩვენს ქვეყანაში ძალიან წარმატებული იქნება.

მედიისთვის კომენტარი გააკეთა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმაც, რომელიც საქართველოში სპეციალურად არჩევნებისთვის ჩამოვიდა:

– ჩამოვედი იმისთვის, რომ მხარი დამეჭირა ლევანისა და მისი გუნდისთვის. მიმაჩნია, რომ მან დაიმსახურა ის მხარდაჭერა, რომელიც ჰქონდა და აქვს, რადგან 4 წლის მუშაობის განმავლობაში შეძლო და გარკვეულ წარმატებას უკვე მიაღწია არა მხოლოდ ეროვნული ნაკრების, არამედ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი დადებითად აისახება ქართულ ფეხბურთზე, სადაც ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო და მე მჯერა, რომ ლევანი ზუსტად ისე გააგრძელებს, როგორც დაიწყო. ის იყო გენიალური ფეხბურთელი და იმსახურებს იმ ნდობასა და მხარდაჭერას, რომელიც მას აქვს.

# ქალმა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მხოლოდ მშობიარობის შემდეგ შეიტყო



დიდ ბრიტანეთში ქალმა ფეხმძიმობა მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც მას სამშობიაროში მისი შვილი მიუყვანეს.

2018 წლის აპრილში მასწავლებელი ლიზა დეივი საავადმყოფოში ნახევრად უგონო მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. ვარაუდობდნენ, რომ მას ნაწლავური ინფექცია ჰქონდა. 27 წლის ქალს ეჭვადაც არ ჰქონია, რომ ფეხმძიმედ იყო. გასინჯვის დროს ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ მას მუცელი შებერილი ჰქონდა, მაგრამ ჩათვალეს, რომ ეს ინფექციის ბრალი გახლდათ. თუმცა ულტრაბგერითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ დეივი 26 კვირის ფეხმძიმე იყო.

ექიმებმა მას იშვიათი და სახიფათო გართულება, ჰელფ სინდრომი დაუდგინეს. ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად უარესდებოდა, ორგანოები ეთიშებოდა და ამიტომ ექიმებმა გადაწყვიტეს, სასწრაფოდ საკეისრო კვეთა გაეკეთებინათ. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ექიმებმა დედისა და ბავშვის გადარჩენა შეძლეს.

დეივიმ ფეხმძიმობა მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც საავადმყოფოს პალატაში გონს მოვიდა.

— ამას ვერაფრით ვიჯერებდი, კვირაში 80 საათს ვმუშაობდი, არც მძიმე საქმეს ვერიდებოდი. საერთოდ არ მიგრძნია, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, მისი სიმპტომები საერთოდ არ მქონია, — ამბობს დეივი. მან თავის ახლად დაბადებულ გოგონას დანიელა დაარქვა იმ მედდის პატივსაცემად, რომელიც საავადმყოფოში მასზე ზრუნავდა.

ახლა, მშობიარობიდან ათი თვის შემდეგ, დედაც და ბავშვიც თავს კარგად გრძნობენ.

# ასტროპროგნოზი

## 16 თებერვლისთვის



**ვერძი** — მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** — კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** — ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** — დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** — სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** — საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** — წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** — ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** — პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** — ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** — რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

## 17 თებერვლისთვის

**ვერძი** — ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** — ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** — ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** — სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** — იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** — საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** — ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** — შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** — აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** — ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** — გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** — აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მაიმუნმა ბავშვი მოიტაცა და მშობლებს აღარ უბრუნებს



ინდოეთის ხარიანის შტატში მაიმუნმა ორი წლის ბავშვი მოიტაცა და მშობლებისთვის მის დაბრუნებას აღარ აპირებს.

ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ აკავებს ბავშვს მაიმუნი და თავზე ხელს უსვამს. მათთან მიდის ქალი, ბავშვს ხელს ჰკიდებს და ცხოველს ეუბნება: „საიდან წამოიყვანე ბავშვი? ნება მომეცი, სახლში დავაბრუნო“. მაგრამ მაიმუნი ბავშვს კიდურებს შემოხვევს, იხუტებს და არ უშვებს. აღნიშნული სცენა რამდენჯერმე განმეორდა. მართალია, ცხოველი აგრესიას არ ავლენს ბავშვის მიმართ, თუმცა არ უშვებს.

ამ შემთხვევის თვითმხილველმა ქალმა ყველაფერი ვიდეოზე გადაიღო იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმე მოულოდნელობა მოხდებოდა. უცნობია, საბოლოოდ როგორ დასრულდა ეს ისტორია. ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# ზოოპარკში ვეფხვები ერთმანეთს დაერივნენ




ბრიტანეთის საფარი პარკში ამურის ვეფხვი თავის ორ თანამოძმესთან შეტაკების შედეგად დაიღუპა.

ინციდენტი კვირის დასაწყისში ინგლისის უილტშირის საგრაფოში მოხდა. ორი ვეფხვი, სახელად რედი და იანი, ფარეხში იმყოფებოდნენ, საიდანაც ისინი მთავარ ვოლიერში უნდა გადაეყვანათ. გადაყვანის პროცესში პარკის თანამშრომლებმა ფარეხის კარი არ დახურეს, რის შედეგადაც ამურის ვეფხვი, სახელად შოური, მათ ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

ცხოველებს შორის ბრძოლა გაიმართა, რის შედეგადაც 13 წლის შოური დაიღუპა, ხოლო დანარჩენი ორი ვეფხვი არ დაშავებულა. იმ მომენტისთვის პარკი დამთვალიერებლებისთვის დაკეტილი იყო, ხოლო შემთხვევის ადგილზე მხოლოდ ზედამხედველები იმყოფებოდნენ.

სპეციალისტებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

# გარდაცვლილი მამის ბედნიერმა რიცხვებმა გოგონას მოგება მოუტანა




ავსტრალიელმა გოგონამ ნათესავებთან ერთად ლატარიაში დაახლოებით 287 ათასი დოლარი მოიგო და ის ამ წარმატებას თავისი გარდაცვლილი მამის ბედნიერ რიცხვებს მიაწერს.

— ის დაახლოებით ორი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ჩვენ მის რიცხვებს მის მოსაგონებლად ყოველთვის ვიყენებდით, — განმარტა გოგონამ, — ის მათ მრავალი წლის განმავლობაში იყენებდა და ამიტომ უზომოდ გახარებული ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვიგეთ.

მისი თქმით, ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში გამოიყენებს მოგებული თანხის საკუთარ წილს.

— დარწმუნებული ვარ, რაიმე ოჯახური წვეულების მსგავსს მოვაწყობთ და ამ მოგებას აღვნიშნავთ. შესაძლოა, კარგი დასვენება მოვიწყო. ახლა რამის გადაწყვეტის თავი არ მაქვს, — განაცხადა გოგონამ.

# ბიჭმა მთელი ფულით თანატოლ გოგონებს ვარდები უყიდა



დიდ ბრიტანეთში სკოლის მოსწავლემ მთელი თავისი ჯიბის ფულით წმინდა ვალენტინის დღეს თანატოლ გოგონებს ვარდები უყიდა.

ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ ლაუტის მკვიდრი კალუმ დრიუ უკვე ოთხი წელია, ტრადიციას არ არღვევს. ის ბოლო წლებში ჯიბის ფულს ბებიის კუთვნილ ყვავილების მაღაზიაში მუშაობით გამოიმუშავებდა. ბებია მას შესრულებული სამუშაოსთვის ფულს უხდიდა, ის კი მათ ინახავდა.

ბიჭის ბებია გასულ წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბავშვმა სწავლისგან თავისუფალ დროს ავტომობილების რეცხვა დაიწყო. ის კვლავ აგროვებდა ფულს საკუთარი ჩანაფიქრის ასასრულებლად. დრიუმ გადაწყვიტა, რომ 2019 წელს ვალენტინობაზე ყველა თავისი თანატოლი გოგონასთვის, რომლებიც მის სკოლაში სწავლობდნენ ვარდები ეჩუქებინა.

— უკვე ოთხი წელია, ყველა კლასს ჩამოვივლი ხოლმე და გოგონებს საჩუქრებს ვურიგებ. ამ დროს გოგონები სიხარულისაგან ხტუნავენ და კისკისებენ, — ამბობს დრიუ.

შვილის საქციელი ეამაყება კლუმის დედა სტეისის. მას ძალიან მოსწონს, რომ მისი შვილი ცდილობს, არავინ დარჩეს უყურადღებოდ და მათ სიხარული მიანიჭოს.

# ქვრივი ცეცხლმოკიდებული სახლიდან ბავშვების გამოყვანას შეეცადა და დაიღუპა



ამერიკელი ქალბატონი ცეცხლმოკიდებულ სახლში იქ მყოფი ბავშვების გადასარჩენად შევარდა და შედეგად თავად დაიღუპა.

კალიფორნიის შტატის ქალაქ ბეიკერსფილდის მკვიდრი კრისტინა სტრეტონი თავისი ერთ-ერთ შვილთან ერთად კინოში წავიდა. სეანსის დროს მას ქალიშვილმა დაურეკა და უთხრა, რომ სახლში ხანძარი იყო. გოგონას ეძინა და ხანძრის გაჩენა არ გაუგია. ის ძაღლმა, სახელად დუნკანმა, ხელზე კბენით გაღვიძა, თუმცა იმ მომენტისთვის სახლის დიდი ნაწილი უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული. ქალი მაშინვე სახლისკენ გაიქცა და ალმოდებულ შენობაში მეხანძრეების მისვლამდე შევარდა. მან ვერ შენიშნა, რომ იმ მომენტისთვის ბავშვები ფანჯრიდან იქვე ახლოს მდგარი ტრაილერის სახურავზე გადადიოდნენ. ის კი ამ დროს სახლში დარბოდა და ძაღლთან ერთად ბავშვებს ეძებდა.

როდესაც შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ, ქალიც და ძაღლიც უკვე დაღუპულები იყვნენ. ბავშვები სახურავიდან ჩამოიყვანეს და სხვადასხვა სახის დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის ხანძრის გაჩენის მიზეზი დაუდგენელია. სტრეტონის სამი უფროსი შვილი სრულიად დაობლდა. მათი მამა ოთხი წლის წინ კიბოთი გარდაიცვალა. მათზე მზრუნველობა დაღუპულის დამ იკისრა. მისმა მეგობრებმა კი ობლების დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია გამართეს და ხუთ დღეში 41 ათასზე მეტი დოლარის შეგროვება შეძლეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქვით ნაგები ღობე; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 4. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 5. წყნარი ოკეანის პირას მდებარე კურორტი მექსიკაში; 6. რევაზ ლაღიძის ოპერა; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 10. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 11. ქალაქი აფხაზეთში; 12. უფროსი მღვდელი ეკლესიაში; 13. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 16. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 18. სარწმუნოებრივი ხასიათის წესჩვეულებათა ერთობლიობა; 19. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 24. სპორტული შეჯიბრების არბიტრი.

**თარაზულად:** 1. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 3. იაპონური მოტოციკლეტი; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 9. ცხენების ჯოგი; 14. კანიონი ხონის რაიონში; 15. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 17. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 20. თეატრალური პრემია საქართველოში; 22. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 23. წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 25. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 26. ფულის ერთეული საქართველოში; 27. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 28. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ალფონსი; 2. პირამიდა; 3. ვივიენი; 5. კოსინუსი; 7. კნესეტი; 9. პოროშენკო; 13. ლონდონი; 15. მთიელი; 16. სეგუნი; 18. მძიმე.

**თარაზულად**: 4. კლინკერი; 6. ეპიტაფია; 8. კონოსამენტი; 10. ლოსიონი; 11. რენო; 12. უტოპია; 14. იმედი; 17. კენზო; 19. ხირსა; 20. რუმინეთი; 21. ოქრო; 22. დირექტივა; 23. ცემენტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. შაჰი; 2. ისე; 3. ტრაქტატი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. შოვი; 7. ბიუჯეტი; 10. კალა; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. თული; 16. ელეგია; 18. მიტარბი; 19. ტრიუკი; 21. მუხტი; 24. სესხი.

**თარაზულად**: 1. შეიკერი; 3. ტრამპი; 8. ლიმონი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. რადა; 20. ტრიუმი; 22. ნაიკი; 23. რეიმსი; 25. მზე; 26. გორი; 27. კაფე; 28. სიგნატურა.

# იუნა შაფათავამ ამერიკაში შოუ დადგა




მსახიობმა იუნა შათაფავამ, რომელიც წლების წინ ამერიკაში წავიდა, შოუ დადგა.

მისი პრემიერა 19 თებერვალს ამერიკაში გაიმართება.

კირა (რეინკარნაცია) — ასე ეწოდება პიესას, რომლის ავტორიც და დამდგმელიც იუნა შაფათავაა.

მასში მხოლოდ ორი მსახიობი მონაწილეობს — გიორგი მეგრელიშვილი და იუნა შაფათავა.

იუნას შემოქმედების ნახვა დაინტერესებულ საზოგადოებას 19 თებერვალს თეატრ „სონეტში“ შეეძლება.

# გლდანში უძველესი სამარხი აღმოაჩინეს

გლდანში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა. გლდანის ციხეების მიმდებარე ტერიტორიაზე ძველ სამარხში უძველესი ობიექტები აღმოაჩინეს, რომლებიც, შესაძლოა, ელინისტურ ხანას განეკუთვნებოდეს. ძველი სამარხი გლდანის ციხესთან სანიაღვრე მილის დაზიანების შედეგად ჩამორეცხილ მიწის ფენებში გამოჩნდა.



— ახლად გამოვლენილი ობიექტის პირველადი დათვალიერების შედეგად დაფიქსირდა ოთხი სამარხი, რამდენიმე კერამიკული ჭურჭელი და ლითონის სამკაული. არქეოლოგების წინასწარი შეფასებით, აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, შესაძლოა, ელინისტურ ხანას (ძვ. წელთაღრიცხვის V — IV საუკუნეებს) განეკუთვნებოდეს. არტეფაქტებისა და სამარხების დათარიღებისა და კულტუროლოგიური შეფასების კვალიფიციური დასკვნა სააგენტოში უახლოეს დღეებში მომზადდება, — აცხადებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

# ნინი ონიანი: „ტვინი გაქვთ დაჭაობებული!“



ასე მიმართავს მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი ფულიან ხალხს, რომლებსაც ყველაფერი აქვთ და მაინც გაუთავებლად წუწუნებენ:

— იცით, რა მაინტერესებს? ეს ფულიანი ხალხი, ყველაფერი რომ გაქვთ და მაინც ცუდად ხართ, სულ წუწუნებთ, სულ უკმაყოფილებას გამოთქვამთ, ერთხელ მაინც თუ დაგისვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა: რატომ?

თუ კარგად დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ ტვინი გაქვთ დაჭაობებული, ტვინი. გონება „გაანიავეთ“, ამყაყებულია და მაგას ფინანსები არ შველის!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# 14 თებერვალი საბავშვო პოეზიის დღედ გამოცხადდეს!

14 თებერვალი საბავშვო პოეზიის დედოფლის მაყვალა მრევლიშვილის დაბადების დღეა. პოეტმა გიო საჯაიამ წამოაყენა ინიციატივა, გამოცხადდეს 14 თებერვალი საბავშვო პოეზიის დღედ:

— ეს დღეებია, ერთი ამბავია ატეხილი მაყვალა მრევლიშვილის ლექსის გამო. „პოეზიის ექსპერტი“ მშობლების ერთ ნაწილს არ მოეწონა სახელმძღვანელოში შეტანილი მისი ლექსი, აქაოდა, ბავშვებს რას ასწავლიანო და ატყდა ერთი ამბავი და ვაი-ვიში. მერე სხვებიც აჰყვნენ და დააფრიალებდნენ ამ ლექსს სოციალური ქსელის ერთი კედლიდან მეორეზე.

ყველაზე საინტერესო ამ ისტორიაში კომენტარები იყო. ერთი წერდა, არც ვიცი, ვინ არის ეს მაყვალა და არც მაინტერესებს, როგორ ბედავს და ასეთ ლექსებს როგორ წერსო. უხსენი ახლა შენ, რომ კი არ „წერს“, არამედ „წერდა“ და საბავშვო პოეზიის მთელი ეპოქა შექმნა ქალმა გასულ საუკუნეში...

ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ეს ქალბატონი, ვისაც „საერთოდ არ აინტერესებდა, ვინ იყო მაყვალა“, განათლების რომელიღაც ფონდის თანამშრომელი თუ საერთოდ, ზუსტად არ მახსოვს, დამფუძნებელი გახლდათ. კი მინდოდა მეკითხა, სად გაიზარდეთ, ქალბატონო იმანო, ან „კიკლი კიკლი კიბესა“ არ წაგიკითხავთ ბავშვობაში, ან „ეს საწყალი კურდღელი“ არ გიმღერიათ, რამ გაგაბოროტათ-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა და დავანებე თავი.

# გოგონა ცხვირის გახვრეტის შემდეგ დაინვალიდდა

ბრაზილიელმა გოგონამ დამოუკიდებლად სიარული მას შემდეგ ვეღარ შეძლო, რაც ცხვირი პირსინგისთვის გაიხვრიტა.



20 წლის ლიანე დიასმა ცხვირი გასული წლის ზაფხულში გაიხვრიტა. მას გახვრეტილი ადგილიდან სისხლი სდიოდა და შეუსივდა, თუმცა ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. შემდეგ ტემპერატურამ აუწია, ხოლო როდესაც სიცხემ დაიკლო, ფეხებში ძლიერი ტკივილი იგრძნო, მალე კი მთელი სხეული დაუბუჟდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა მან ექიმებს.

ანალიზების შედეგად დიასის სისხლში ექიმებმა ოქროსფერი სტაფილოკოკი აღმოაჩინეს, რომელიც მის ორგანიზმში, სავარაუდოდ, პირსინგიდან მოხვდა. მისი მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა და ლიანე დედაქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას ტომოგრაფია გაუკეთეს და ხერხემალთან 500 მილიმეტრი მოცულობის ჩირქგროვა აღმოუჩინეს.

ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად გოგონას სასწრაფოდ გაუკეთდა ოპერაცია. დიასი საავადმყოფოდან ორი თვის შემდეგ გაეწერა, თუმცა ცალი ფეხის ამოძრავებას კვლავაც ვერ ახერხებს. ექიმები არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, მას მთელი ცხოვრება ინვალიდის ეტლი დასჭირდეს.

# სამგლოვიარო განცხადებები



ქვეყნის პედაგოგთა ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, ბატონ

## შოთა კოხრეიძეს

დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა

ცხოვრების წესით, პიროვნული თვისებებით, მოყვასისა და ქვეყნისათვის თავდადებით საყოველთაო სიყვარულის მოპოვება ღვთის მიერ ბოძებული უდიდესი მადლია და ის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომელთა შორისაც ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი პიროვნების, ჩვენი შოთა მასწავლებლის ფენომენს, რომელსაც დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით, კეთილშობილებით, მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობითა და უანგარობით მან დიდი პატივისცემა, სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ახლად დამთავრებული ომის შემდეგ სოფლად ცხოვრება ჭირდა, ახალგაზრდა კაცმა სამომავლო საქმიანობად პედაგოგიური სფერო აირჩია და პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოფელ მეორე სვირს ფიზიკის მასწავლებლად დაუბრუნდა, სადაც თავის მეუღლესთან, უბრწყინვალეს პედაგოგთან, ქალბატონ ცისანა ჭაბუკიანთან ერთად თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა ყველა იერარქიის პედაგოგიურ საქმიანობას — მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, სასწავლო ნაწილის გამგე და სკოლის დირექტორობით დამთავრებული და მან თავისი უმწიკვლო საქმიანობით ნათლად დახატა ღირსეული პედაგოგისა და ერის შვილის პორტრეტი და მარტივად გასცა პასუხი კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს პედაგოგი, რითაც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ცხოვრებაშიც და მისი მოულოდნელი გარდაცვალებით მიღებული ტკივილი წლების განმავლობაში არ ნელდება... საყოველთაო სიყვარულის შედეგია ისიც, რომ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფლის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი მის სახელს ატარებს და სოფლის განვითარების ამ ეტაპზე ეს ჯერჯერობით ერთადერთი პრეცედენტია. ჩვენ, მისი აღზრდილები და ყველა ისინი, ვისაც ჰქონდა მასთან ურთიერთობის ბედნიერება, ვამაყობთ ამ ფაქტორით...

შევთხოვთ უფალს, რომ მარადიულ ნათელში დაამკვიდროს შოთა მასწავლებლის სული და ასეთი ღირსეული პიროვნებები არ მოჰკლებოდეს არც მეორე სვირსა და არც სრულიად საქართველოს!

**აღზრდილების სახელით, გულადი ლომინაშვილი**

ირა და ნოდარ გაბისონიები სამძიმარს უცხადებენ ბატონ თემურ აბაშიძეს მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის

## ინგა სადქოვას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ახალციხის რაიონული ორგანიზაციის დაფუძნებიდან უცვლელი თავმჯდომარის

## გურამ ჩადუნელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მყვინთავმა უზარმაზარი „ზღვის გველი“ ვიდეოზე გადაიღო

ახალი ზელანდიის მკვიდრმა ვიდეოზე გადაიღო უჩვეულო არსება, რომელიც ზღვის გველს წააგავდა.

21 წლის ბენ ლორიმ ცხოველი იმ დროს შენიშნა, როდესაც მეგობრებთან ერთად წყალქვეშა ნადირობით იყო დაკავებული ახალი ზელანდიის კუნძულ ჩრდილოეთის კონცხის ბრეტის მახლობლად. მისი თქმით, ათი მეტრი სიგრძისა და 50 სანტიმეტრი სიგანის არსება ზღვის ტალღებზე ირწეოდა.

თავდაპირველად მყვინთავებმა ჩათვალეს, რომ ისინი პლანქტონების უჩვეულოდ დიდ გუნდს გადააწყდნენ.

— შემდეგ ერთ-ერთმა მეგობარმა მას ხელი შეახო და გვითხრა, რომ ის რბილი სულაც არ იყო და მისი კანი მუყაოს მოაგონებდა, — განაცხადა ლორიმ.



მოგვიანებით მან გაარკვია, რომ არსება, რომელსაც ისინი გადააწყდნენ, შესაძლოა, პიროსომა იყო — საერთო გარსში გახვეული უხერხემლოთა უზარმაზარი კოლონია. ცალკეული არსების სიგრძე სულ რამდენიმე მილიმეტრს აღწევს, მაგრამ ერთ კოლონიაში თავმოყრილების სიგრძემ, შესაძლოა, ოთხ მეტრს და მეტსაც მიაღწიოს.

# ქალმა შეცდომით სანთლის მაგივრად დინამიტი აანთო




ამერიკელ ქალბატონს სიბნელეში სანთელი დინამიტში აერია, ფითილს ცეცხლი წაუკიდა და აფეთქება მოაწყო.

ქარიშხლის გამო კატრინ გუტიერესის სახლში, რომელიც კონექტიკუტის შტატის ქალაქ ბრიჯპორტში მდებარეობს, დენი გაითიშა. სანთლების მოსაძებნად ქალი სარდაფში ჩავიდა. ხელის ფათურით მან იპოვა რაღაც საგანი, რომელიც, მისი აზრით, ფორმით სანთელს წააგავდა და მის ფითილს ცეცხლი წაუკიდა. გუტიერესი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ეს დინამიტი იყო, როდესაც ის ხელში აუფეთქდა.

ქალმა მარცხენა ხელის მტევნის, მარჯვენა თვალის, მკერდისა და მხრის დამწვრობა მიიღო. მისი მეუღლე და ორი შვილი არ დაშავებულან. შემთხვევის ადგილზე პოლიცია და გამნაღმველები მივიდნენ. გუტიერესი საავადმყოფოში გადაიყვანეს და იქ დღემდე აგრძელებს მკურნალობას.

ამ შემთხვევის შემდეგ ოჯახმა სახლის ყოფილი მფლობელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა იმის გამო, რომ სწორედ მან დატოვა იქ ასაფეთქებელი ნივთიერება.

# ამერიკაში ბანკის უიღბლო მძარცველი დააკავეს

აშშ-ში შეიარაღებულმა მამაკაცმა ბანკი გაძარცვა და ცდილობდა, დანაშაულის ჩადენის ადგილი დაეტოვებინა, მაგრამ ფეხი დაუცდა და დაეცა. ეს ყოველივე კი პოლიციელის თვალწინ მოხდა. ბოროტმოქმედს ნაძარცვი და იარაღი დაუვარდა. ინციდენტი მენის შტატის ქალაქ უოტერვილში დილის საათებში მოხდა. ბანკის წარმატებით გაძარცვის შემდეგ 37 წლის სამართალდამრღვევმა ჯეისონ მაკენროდტმა შენობა დატოვა და შეუმჩნევლად შეაღწია რესტორნის ავტოსადგომზე. იქ კი მას სველ მიწაზე ფეხი აუცურდა და პირდაპირ პოლიციის ლეიტენანტის გლენ ლანგის თვალწინ დაეცა, რომელიც იმ მომენტში მანქანას აჩერებდა.



— როდესაც ის დაეცა, ჯიბეებიდან ფულები და იარაღი გადმოუცვივდა. კუპიურები ირგვლივ ქარმა მიმოფანტა, — განაცხადა პოლიციის უფროსმა ჯოზეფ მასიმ.

ლეიტენანტი იარაღის დანახვაზე მიხვდა, რომ აქ საქმე სხვაგვარად იყო. მასის თქმით, თავისი პროფესიონალიზმის წყალობით ლანგმა უსწრაფესად მოახერხა მანქანიდან გადმოსვლა და ეჭვმიტანილი მამაკაცის დაკავება. სწორედ იმ მომენტში ავრცელებდა ქალაქის პოლიცია ბანკის გაძარცვის ინფორმაციას. ჯეისონ მაკენროდტი ძარცვის ბრალდებით გაასამართლეს და დროებით საოლქო ციხეში მოათავსეს გირაოს გადახდის სანაცვლოდ გათავისუფლების უფლებით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 თებერვლისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6438 | ევრო — 2.9917 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.406 | 100 რუსული რუბლი — 4.0208 |

## ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

19 თებერვლიდან

ჯონათან სვიფტი

**გულივერის მოგზაურობა**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 თებერვლიდან

სულხან საბა ორბელიანი

**სიბრძნე სიცრუისა**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

**მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები**

15 თებერვლიდან

გუსტავ ფლობერი

**მადამ ბოვარი**



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



14 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## იუმორი

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– ლამაზი მოლაპარაკე თუთიყუში რომ გყავდა, რა უყავი?

– მოკვდა საცოდავი.

– რატომ, დაბერდა?

– არა, ჩემი ცოლისა და სიდედრის ლაპარაკში ერთი სიტყვაც კი ვერ ჩააკვეხა და...

●●●

ერთი მედდა მეორეს ეკითხება:

– საოპერაციოდან ასეთი ღრიალი რატომ ისმის?

– რა და ნარკოზს ჯერ არ უმოქმედია, ჩვენმა ახალგაზრდა ქირურგმა კი...

– რა, უკვე გაჭრა ავადმყოფი?

– არა, უბრალოდ, წარმოთქვა ფრაზა, რომელიც ავადმყოფის თანდასწრებით არ უნდა ეთქვა.

– რომელი?

– კარგი, გუგლო, რომელ მხარესაა ბრმა ნაწლავი?

●●●

ღამის ორ საათზე მედდა მორიგე ექიმს აღვიძებს:

– ექიმო, ორი მამაკაცი შემოიყვანეს.

ექიმი ადგა, მივიდა სამორიგეოში და ხედავს, ერთ მამაკაცს ხელი მეორის უკანალში აქვს გაჭედილი. მან ერთი-ორჯერ შემოუარა გარშემო და შემდეგ ეუბნება:

– ჩვენთან არ უნდა მოსულიყავით.

– აბა სად?

– თოჯინების თეატრში...

●●●

პოლიციაში დაზარალებულს გამომძიებელი ეკითხება:

– შეგიძლიათ, თავდამსხმელი აღგვიწეროთ?

– დიახ, რა თქმა უნდა – მაღალი, მელოტი, წვერი, ულვაშები...

– გასაგებია... კაცი თუ ქალი?

●●●

ცოლი კორპორატიულიდან ბრუნდება და ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, არ იღრიალო, ყველაფერს გეტყვი: ყველა სვამდა, მაგრამ მე არ დამილევია, ყველა მამაკაცი და ქალი ერთმანეთს კოცნიდა, მაგრამ მე არავისთვის მიკოცნია. სალათს ვჭამდი, ვიცეკვე, კონკურსებში მივიღე მონაწილეობა. სულ ეს იყო, შენ ხომ ჭკვიანი ცოლი გყავს. გინდა, რამე მკითხო?

– კაბა რა უყავი?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ინტერი მაურო იკარდის გაყიდვაზე ფიქრობს



ინტერსა და მაურო იკარდის შორის ბოლო პერიოდში ურთიერთობა გაფუჭდა. კონფლიქტი იკარდის კონტრაქტმა გამოიწვია, რომლის გამოც არგენტინელ ფეხბურთელს კაპიტნობაც ჩამოართვეს, რადგან იკარდის ცოლმა ინტერი სახალხოდ გააკრიტიკა.

ამ ყველაფრის შემდეგ ინტერი მზად არის, იკარდი 90 მილიონ ევროდ გაყიდოს, რაც იმ თანხაზე ნაკლებია, რასაც ინტერი თავდაპირველად ითხოვდა.

იკარდის ყიდვა ბევრ კლუბს სურდა, მათ შორის არის მადრიდის რეალიც, ამიტომ ზაფხულში შესაძლოა ეს ტრანსფერი განხორციელდეს.

იკარდი ინტერში 2013 წლიდან თამაშობს.

## ვალვერდემ ბარსელონასთან კონტრაქტი გააგრძელა



ერნესტო ვალვერდემ ბარსელონასთან კონტრაქტი გააგრძელა და ის კატალონიურ კლუბში 2020 წლის ჩათვლით იმუშავებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ვალვერდე მომავალ სეზონშიც გაწვრთნის ბარსელონას, შემდეგ კი უკვე მისი მომავალი, ბარსელონაში გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ვალვერდე ბარსელონაში მეორე სეზონს ატარებს და პირველ სეზონში მან ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოიგო.

ამჯერად ბარსელონას მთავარი სამიზნე ჩემპიონთა ლიგაა, სადაც კატალონიელების მეტოქე მერვედფინალში ფრანგული ლიონია.

## ნეიმარი: „მარტის ბოლოს დავბრუნდები“



პსჟ-ს ვარსკვლავმა ნეიმარმა თავის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის სავარაუდოდ მარტის ბოლოს დაბრუნდება.

ნეიმარის თქმით, მისი ტრავმა ისეთი სერიოზული არ აღმოჩნდა, როგორც ამას თავიდან ფიქრობდნენ:

– ჩემი სარეაბილიტაციო კურსი კარგად მიმდინარეობს და ექიმები ვარაუდობენ, რომ მარტის ბოლოს უკვე შევძლებ მოედანზე გასვლას. ძალიან მინდა, რომ ჩემს გუნდს დავეხმარო და რაც შეიძლება მალე გამოვჯანმრთელდე.

ნეიმარმა ტრავმა იანვარში მიიღო და მას შემდეგ ის ბრაზილიაში იმყოფება, სადაც სარეაბილიტაციო კურსს გადის.

## მარსიალი და ლინგარდი 3 კვირა იუქმებენ



მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელები – ჯესი ლინგაარდი და ენტონი მარსიალი 3 კვირის მანძილზე ვერ შეძლებენ მოედანზე გამოსვლას. ორივე ფეხბურთელმა ტრავმა პსჟ-სთან შეხვედრაში მიიღო და მათმა ტრავმებმა დიდწილად განაპირობეს კიდეც მანჩესტერის მარცხი.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „ყველაზე ლამაზ მასწავლებელს“ ტაივანში მიაგნეს



ტაივანელმა მასწავლებელმა გოგონამ პოპულარულობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც სტუდენტებმა მასთან გადაღებული ფოტოსურათები გამოაქვეყნეს. მას მალევე უწოდეს „ყველაზე მაგარი მასწავლებელი“.

ჩენ ცზია-ვენი ორი წელია, ტექნოლოგიების მეცნიერების ინსტიტუტში მსახურობს, რომელიც ქალაქ ჩჟუნლიში მდებარეობს. სტუდენტებმა 28 წლის მასწავლებელს ფოტოსურათები იმ დროს გადაუღეს, როდესაც ის დაფასთან იდგა და მათ თავის საგანს უხსნიდა. შემდეგ კი ეს ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში განათავსეს.

ამ მოულოდნელად მოპოვებული პოპულარობის შედეგად ჩენის აკაუნტს ინსტაგრამში უკვე 91 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

თავად ჩენი პარალელურად ჩინეთის კულტურის უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს. თავისუფალ დროს ის პიანინოსა და ფლეიტაზე უკრავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 2. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 3. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფას მერქნიანი წიწვოვანი ხე; 5. თაღლითი, ყალთაბანდი; 7. გერმანელი კომპოზიტორი, ოპერა „ვალკირია“-ს მუსიკის ავტორი; 9. ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა უხდიდა გამარჯვებულს ძველად; 13. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 15. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული ინდაური; 16. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 18. ჯილდო გამარჯვებულთათვის.

**თარაზულად:** 4. ბავშვთა ექიმი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის ნაკრძალში; 8. სასარგებლო წიაღისეულით გამდიდრებული პროდუქტი; 10. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 11. უნგრული ნაგაზი; 12. ფარული დაცინვა; 14. პოეტი მომღერალი მუსლიმანურ ქვეყნებში; 17. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 19. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 20. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 21. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. შეზღუდული ინტელექტის, ფარისევლური ქცევის, მეწვრილმანე ადამიანი; 23. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

